



საქართველო

საქართველო-გურჯაანის
-მრეწველობითი-
-მრეწველობითი-




-1919-

საქართველო № 9



ს ა რ ჩ ე კ ი.

I — ყვავილების გამყიდველი ქალი, — ს.ჯ.	1
II — სიმღერა გამოსაღმებისა, — ლექსი კ. აბაშიანიძისა	3
III — ქაჯის ბაწარი, — ირ. ევლიაშვილისა	5
IV — ბოლოს სინანული გვიანია, — ზეკა სიმ შოქმ. (დასასრული) — გ. დგებუძისა	16
V — შემოდგომა, — ლექსი ხუციშვილისა	21
VI — ლოცვა, — მოთხრ. ევლიაშვილისა (თარგმ.) მახ. ბოჭორიშვილისა	23
VII — იაკობ სვიმონის-ძე გოგებაშვილი, — (დასასრული) არბიჯისა	31
VIII — იშვიათი ნიკის ბავშვი — გ. ა — ციხელისა	42
IX — ელექტრონიანი თევზები — ავ. თ — ძისა	46
X — დღესასწაულები სამამულიშვილო ომის გამო რუსეთში, — ად. შ — შვილისა	52
XI — მითოლოგია, — ტროადის ომი, — ად. შაქაბერიძისა	58
XII — მკითხველის წერილები	63
XIII — გასართობი: გამოცანები, რებუსი და აღსნა	64





სიმღერა გამოსალმებისა.

მ შობელ მინდერების ყვაილნო,
ფრინველნო ულრან ტყისაო,
გულჩაბეულო ნაძენარო,
ნაკადო სალი კლდისაო!
მიედივარ, უკვე გეტუოდათ
ამას შიკრიკი შთისაო.
უკანასკნელად რა ვნახეთ
ვიში და გაეიხარეო,
შუბლზე გამეხსნა ნაოკი,
ფიქრები უკუ ვყარეო.

მალალ მთისაკენ მთის ნიაეს
 მოკითხვა დავაბარეო.
 რა რიგ გშვენოდა მინდორო,
 ღაწვზე ყვავილთა ხალები!
 ვიფიქრე: აქ სად მოსულა
 თამარ დედოფლის თვალები!
 მოკისკასობდნენ წყარონი,
 ჭვეშ ეგებოდნენ ჭალები.
 კრემლად სცვიოდა ობოლ ტყეს
 ფოთლები ნაგვიანები.
 ფიქოს მისცემოდნენ მწარესა
 „მთანი თავ-ჩაჩქნიანები“ *).
 მივდივარ ჩრდილოეთისკენ,
 გემშვიდობებით ყველასა.
 იქ ვერ მოვისმენ, ეს ვიცი
 მშობლიურ „პაროველასა“ *
 იქ ველარ ვნახავ მწვანე ტყეს
 ველ-მინდორს შემკულს ყვავილით.
 ვიცი გულს მოეწყინება,
 რა მშობელ მთა-ბარს გავივლით,
 მხოლოდ-ღა თერგი შეგვიჩივლებს
 გულის სატკივარს ბლავილით.

კ. აბაშისპირელი.



*) ჩაჩქანთ-მუზარადი. მხედართა ფოლადის ქული.



ქაჯის ბაჭარი.



აღგებოდა თუ არა შუა-ღამე, ის
ოხერი თურმე ჩვენი ბოსტნიდან მო-
რთავდა ჯერ კატასავით კნავილს,
მერე ყეფას და ხანაც მგელივით
ღმუილს. რა თქმა უნდა—მაშინვე
მიპხედებოდნენ ხოლმე, რომ ეს ის
იყო. გაიტანდნენ ანთებულ მუგუზალს და ესროდნენ. «ვააა,
ვააა!» ასტეხდა თურმე ერთ უშველებელს ღრიალს. ღრიალე-
ბდა და თან «მიშველე, სოსი» — იძახდა თურმე.

ღიღბანს თურმე უთმინა პაპა—სოსიას გულმა, ბევრჯელ
დაეპირებინა გამოჭმაურება, ერთხელ კიდევ გასძრახებოდა
სახლიდან: „ნუ გეშინიან. მოვდივართო“, მაგრამ ბებია-ჩემს
არ გაეშვა. ძალიან გულმაგარი და უშიშარი-კი ყოფილა პა-
პა—სოსია! მაგრამ რას იზამ; ნათქვამია: ცალ-მხრივ ცხრა
უღელმა ხარმა გაიწია, მეორე მხრივ—დედაკაცმა, და დედაკა-

კმა აჯობაო. არ უშვებდა და არ უშვებდა თურმე ბებია-ჩემი პაპა-ჩემს იმის ძაბილზე.

ერთხელაცა, თურმე, ბებია-ჩემი, — ღმერთმა აცხონოს — კი დედაკაცი ყოფილა, — ჰო, ერთხელაცა, თურმე, ბებია-ჩემი ავად გახდა და ისე გახდა თურმე ავად, რომ საქმე სამკითხაოდ გამხდარიყო. წავიდნენ მკითხავთან და მართლაც, აბა გულთმისანი ისა ყოფილა აი, მაშინვე ეთქვა: „თქვენ სახლს ავი სული დასტრიალებსო.“

„მე-კი არ ვიცოდი, რომ მაგას მეტყოდიო,“ ეპასუხნა პაპა-ჩემს. ჰო და, აბა როგორ არ ვიცოდინებოდა, რომ ყოველ ღამე ესმოდა პაპას იმისი ძაბილი.

„ჩაყლაპე ესაო,“ ეთქვა მკითხავს, და თურმე ერთი შავი, შელოცვილი კენჭი-კი გადაყლაპა, „ჯვარი გწყალობს ჯვარცმული, რას დაგაკლებს მაკდური, შენ ქრისტესი ხარ — ქრისტე შენიაო,“ და გამოესტუმრებინა შელოცვილი პაპა სახლისაკენ. აბა შელოცვილ ადამიანს რაღას დააკლებდა. და მართლაც, მოესმა თუ არა იმ ღამეს მისი ყეფა, გადაიწერა პაპა-ჩემმა პირჯვარი და ეცა ბოსტანს. ბებია აბა რაღას დაიჭერდა: ძლივს კრუსუნებდა ქვეშაგებში. ჰო, ეცა ბოსტანს და ზედ წყლის პირზე-კი დაუხედა თურმე ის წყეული. „მე ქრისტესი ვარ, ქრისტე ჩემია!“ — დაუქუივლა პაპამ, გადაიწერა პირჯვარი და, თურმე, როგორც პატარა ბაღლი — ისე ატირდა ის ვერანი.

ლოცვამ დახუთა და! სტაცა პაპამ ხელი და წაუჭირა ყელში, „ოღონდ ნუ მომკლავ, და დღეიდან შენი ყმა-მოსამსახურე გავხდებიო,“ შეეხვეწა თურმე. პაპამაც აღარ გაიმეტა, მოიყვანა სახლში, დაჰხედა სინათლეზე — ქაჯია! ნამდვილი ქაჯი! ხან ზღარბივით მოიკუმშება, ხან გოქივით ჭყივის, ხან დათვივით ბურტყუნებს... თითო არშინი ჯერ თურმე ფრჩხილები ჰქონდა იმ საოხროს!

„ადამიანო, ფრჩხილები, პარიქა, ფრჩხილები დააქერი!“ ეთქვა ბებია-ჩემს. აბა კვეიანი დედაკაცი ისა ყოფილა, აი!

სკოდნია ქაჯის ხასიათი. პაპასაც მაშინვე დაეჭრა თურმე
 კულით და იმ დღიდან ისეთი მორჩილი გახდა თურმე
 კაი ათ-თუმნიან მოჯამაგირეს სჯობდა. გეშინოდა ღამე საქო-
 ნელი გაგეშვა გარეთ თუ? შენ არ მომიკვდე! ბეწვი არ შეუ-
 ტოკდებოდათ. ნადირის კბილის შეკვრაც იცოდა თურმე იმ
 ვერანამ. ბებია ჩემი ხომ იმავე დღეს საღსალამათი ააყენა ქვე-
 შაგებიდან. თურმე სურდოს წამალიც სკოდნია: წაუსვ-წამო-
 უსვა თურმე ბებიას ცხვირზე, თხის ქონით, დაუზილა გული
 და წამოაყენა. აბა იმ დღიდან ხომ ბებიასაც შეუყვარდა. ეშ-
 მაკი რამ-კი ყოფილა ძაან თურმე ის ტიალი: მკვდარი რომ
 წინ გდებოდა, გაგაცინებდაო!—იტყოდნენ ხოლმე ჩვენები.

სახელად თურმე „უკულმართა“ ერქვა, იმ უკულმა გასა-
 ტარებელს, და მართლაც ყველაფერი თურმე უკულმა ესმო-
 და. თუ გინდოდა წყალი მოეტანა—უნდა გეთქვა: „უკულმარ-
 თა, კოკა გატეხე.“ და მზად იყო წყალი. თუ გინდოდა ეზო
 დაეგავა—უნდა გეთქვა: „უკულმართა, ეზო მოთხარეო,“ და
 დააკრიალებდა ეზოს. თუ გინდოდა ცეცხლი აენთო ბუხარ-
 ში, უნდა გეთქვა: „უკულმართ, სახლი დაწვიო“,—და აანაებ-
 და ცეცხლს.

აბა რილასი ეშინოდა თურმე პაპაჩემს, როცა ქაჯიც-კი
 დაიმონავა. და იმ დღიდან ღამე და დღე აღარ გააჩნდა თუ-
 რმე. ტყე-ღრე-მინდორში შუალამისას ისე დადიოდა თურმე,
 როგორც დღისით დუქნების წინ.

იმატა ცხვარმა, იმატა ძროხამ, აივსო ბედელი პურითა.
 ქვევრს, რამდენსაც დააკლებდით ღვინოს, იმდენი ივსებოდა
 თავისთავად. განა არა, რომ ეს სულ უკულმართას უნარი იყო.
 მთელი სოფელი თურმე ჩვენ შემოგვნატროდა: „აივსო სოსია
 ცხოვრებით, აივსოვო,“ ამბობდნენ თურმე; მაგრამ ჩვენები
 აბა რას იტყოდნენ, რომ ეს სულ უკულმართას საქმე იყო.
 ის წყეულიც თურმე სხვისთვის უჩინარი იყო და მარტო ბე-
 ბია და პაპა ხედავდნენ.

ერთხელა, თურმე, როცა მამიჩემის ნათლობა ჰქონდა



პაპა ჩემსა, ხალხი დაპატიება. დაპატიება მღვდელ-დაკავშირებული მამასახლისი და ვინ იცის კიდევ ვინ არა. აბა ვერას იშოვი-და სამასპინძლოდ თუ?

ჰო, — დაპატიება, თურმე, და მღვდელს პარაკლისი ახდევინა, საკმელი დაკმევინა სახლში, მარანში. იმ ვერანა უკუ-ღმარტოს მაშინვე, თურმე, ფერი ეცვალა, სულ ათახთახდა და კბილებს აკრაჭუნებდა. „უკუღმართ, სახლი დაწვიო,“ ვითომ „ბუხარი აანთეო,“ ჩაუჩურჩულა თურმე პაპა ჩემმა და თვითონ-კი სტუმრებთან გააბა მუსაიფი სახლში: უკუღმართა უჩემოდაც გაჩარხავს ყველაფერსო. მართლაც, გაიშალა სუფრა და რა გინდა გულო და სულო ზედ არ იყო! ჰაი, გიდი, ჰა, აბა გემო იმ დროსა ჰქონია, ი! კაი-კაი ნახუქლავაში, გამტკიცული შოთები, ქათმის ჩიხირთმა, ცივად ინდაური, ძროხის ხაშლამა, ცხვრის ყაურმა, ღორის სუკები და ღვინო ზო რაღა გითხრა: ცეცხლში რომ შეგესხა—აენთებოდაო. აბა ჰა, ვისაც იშტა გაქვს და შეგიძლიან. თამადად თვითონ დამდგარიყო პაპა ჩემი: მიაყოლა და მიაყოლა თურმე სტუმრებს ყანწი-ყანწზე, ჯამი-ჯამზე, ჯიხვი-ჯიხვზე და მრავალ ქამიერი — მრავალ-ქამიერზე. შუადღიდან-შუალამემდინ თურმე ღვინოში იყვნენ გაბმულნი. შუალამისას-კი ზოგი შინ წაბარბაცდა, ზოგსაც ჩქავე მისძინებოდა სუფრაზე. პაპა ჩემიც ზო, რაღა თქმა უნდა, მიწოლოლიყო და გულიანად ხვრინავდა.

„სოსიავ, ჰაი, სოსიავ! თავს უშველე, კაცოოო!“ მოქსმა თურმე ძილში პაპა-ჩემს. „აღბად უკუღმართა ცუდლუტობს,“ — იფიქრა პაპა-ჩემმა და მისცა თავი ძილს. პატარა ხანს უკან ვიღამაც დასტაცა თურმე ფეხებში ხელი და მიათრევს გარედ. „უკუღმართ, გამათრიეო“ — ჩაიღულღულა თურმე პაპა-ჩემმა, ვითომ — „უკუღმართ, ნუ მათრევო.“

„რას ამბობ, კაცო, რის უკუღმართ, შე უკუღმართად დასამარბაო; ადექ, ჩქარა, თავს უშველეო!“ მართლაც ძლივს მოასწორეს, თურმე, ნამძინარევ სტუმრების, პაპა ჩემის, ბებიასი და მამიჩემის ხოჭიქოს გარედ გამოტანა და იგრილა კიდევ



სახლის ჭერმა. თურმე სახლს ცეცხლი მოჰკიდებოდა და მეზობლებს არ გაეგოთ, ყველანი შიგ ამოიბუფებოდნენ. „უკულმართ, ცეცხლი აანთე, უკულმართ, ცეცხლი აანთეო!“ ყვირის, თურმე, პაპა-ჩემი. ვითომც — უკულმართ, ცეცხლი გააქრეო. მაგრამ სადღაა უკულმართა!

„საწყალი, ჰკეაზე შესცდა, თორემ ამოტელა ცეცხლს რაღა ცეცხლი უნდა ზედაო“, ამბობდნენ თურმე მეზობლები. დაიწვა, გადაიბუფა ძირიან-ბუდიანად მთელი კარმიდამო და დარჩა ზელ-ცარიელი საწყალი პაპა-ჩემი, ეპ, მიმხედარიყო მე-რე, ვინც უყო ეს საქმე, მაგრამ რაღას უშველიდა. გადაწვა სახლი უკულმართამ — გაჰქრა თვითონაც. ეგრეა და, კაცი რომ ქაჯს მიენდობა, აბა რა დაემართება! მას აქეთ გაღარიბდა ჩვენი ოჯახი, მას აქეთ მოვსდევთ და მოვსდევთ სხვათა კარზე მუშაობას. მამაჩემი დაბერდა ამ წისქვილში და მეც აქა ებერდები!

გაათავა ბერომ თავისი სახლის თავგადასავალი და შეხედა გათეთრებულ წისქვილის ჭერს, თითქოს დღეს პირველად ჰხედავდა.

— ძაან ეშმაკი-კი ყოფილა, აი, ის ვერანი, — წარმოსთქვა ცოტახნის სიჩუმის შემდეგ ცეცხლს და შეჰხედა ბეროს: აცა, რას იტყვისო.

— ეშმაკი და მაგრე! კაცი ჯერ ააშენა და მერე ერთბაშად დაღუპა!

— აღარ შეგხვედრია მას შემდეგ აღარც შენ აღარც მა-მაშენს?

— ჰა, — ჩაიკინა ბერომ; — აბა ჩვენ რაღას გვეჩვენებოდა ჩვენი დამღუპველი. ამბობენ, ვითომც ლამ-ლამე ბოსტანში და წყლის პირას გამოჩნდება ხოლმეო.

ასე მუსაიფობდნენ მეწისქვილე ბერო და მისი პატარა მეგობარი მეზობლიანთ ქერივის შვილი ცეცხლ ზამთრის საღამოთი წისქვილში. თან სიმიანდა ჰხალავდნენ ცეცხლში და შეეჭყეოდნენ კუჭუჭს. მაგრამ ეს პირველი საღამო არ იყო

მათთვის ასე გატარებული. ბეროს ერთადერთი მსმენელი და მემუსაიფე ცეცო იყო; მის უამბობდა ხოლმე ეს ბეროსთვის თავგადასავალს, არამედ საცა-კი რამ გაეგონა, სოფელში ვისაც-კი რამ არა-ჩვეულებრივი გადახედოდა თავზე. იცოდა ბერომ კაი-კაი ზღაპრებიც, „ლესკებიც;“ ჩონგურს ხომ ისეთნაირად უკრავდა, რომ კამეჩსაც-კი აათამაშებდა. ცეცოსაც რასაკვირველია გარედ სიცივეში ყოფნას თბილი ბუხარი, ცხელ-ცხელი ხშიადი და კაი ზღაპრები ერჩივნა.

ბეროც არ იყო უამბანავოდ და უკვირდა კიდევ, რომ რაც უნდ საშინელი ზღაპარი, ან თავგადასავალი ეამბნა, ცეცოს სახეზე შიშის ფერს ვერ შეამჩნევდა, თვითონ-კი თავისავე ნაამბობზე ხან-და-ხან აკანკალდებოდა ხოლმე. „პაპა-ჩემივით უშიშარი გამოვა ეს ბიჭო,“ — ფიქრობდა ბერო და თან უხაროდა, რომ ასეთი გმირი მეგობარი ჰყვანდა. მათი მეგობრობა-კი იზრდებოდა დღით-დღე და ხშირად ბერო უცეცოდ პურსაც-კი არა სჭამდა.

გვიდა მეგობრულ მუსაიფეში და ზღაპარ-არაკებში მთელი ზამთარი. დადგა გაზაფხული. ახლა-კი რალაც აღარ უდგებოდა ცეცოს წისქვილში გული. წისქვილის შხუილს და სიმინდის ყლაპვას, წყაროს წკრიალს და ყვავილებში გორაობას რჩეობდა.

ჯერ დღე-გამოშვებით ინახულებდა ხოლმე ცეცო თავის მეგობარს—ქალარა სახეზე ფქვილ-მოკიდებულ ბეროს, მერე ცოტა მოუგვიანა და შემდეგ კვირაში ერთხელ თულა შეიხედავდა წისქვილში.

გამოძვრა ბეროც წისქვილიდან, მაგრამ წისქვილის ეზოს კი მაინც არ მოჰშორებია. ხან-და ხან წყალს თუ აპყევებოდა ზევით, რომ არავის გადაეელო, ან რუ ამოეწმინდა, თორემ სხვა დროს დილიდან საღამომდე იჯდა ფანჩატურას ქვეშ, ხან შეაელარუნებდა ფანდურს, ხან ამთქნარებდა და მიიძინებდა წისქვილის კედელზე მიყულებული.



—სად გადაიქარგე, ბიჭო!—უსაყვედურებდა ბერო, როდესაც დაინახავდა ცეცოს.

—ბოსტანს ვაკეთებ, ბოსტანს, ძია! ისეთი კიტრი გაკამო, ისეთი, რომ ჰა! რა გინდა არ დაეთესე: ყარფუზი, ნესვი, ცერცივი, მზეუქვრიტე...

—გამიკირეს ამ ბოსტანებმა საქმე, მე და ჩემმა ღმერთმა: ერთ დღეს დავყვები და რაც რუს ნაპირებზე ბოსტანებია, სულ ერთიან გადავკრი თოხით. წყალს აღარ უსვენებენ, დღე ერთია და წისქვილის გაჩერება ათასი!

—რას იზამ, ძიავ, გოლეები დაიკირა, თუ არ მოირწყო, ერთიან ამოხმება!—მიუგო ცეცომ ისეთი კილოთი, თითქოს ეუბნებოდა; რა ვქნა, არ მინდა გაწყენინო, ძია ბერო, მაგრამ ბოსტანს მორწყვა უნდა და მოსარწყავად-კი წყალია საკიროო.

—ამოხმება! მერე მე რა ვქნა, რო ამოხმება?.. ახლა ზოგი ჩემს ბატონსაცა ჰკითხვით და! „ჩემო ბერო, ხარმაკი ხარ, წისქვილი ვერ მუშაობს კარგა. შემოსავალმა იკლო, ჩემო ბერო, დაწოლფოტდიო.“ ის-კი არ იცის თუ რა დღეში ვარ: ხან აღმა და ხან დაღმა „პარახოტივით“ უფლი აქაურობას და დღეში ორი შაური-კი მაქვს. წამოვწვები თუ არა გრილოში, ჩახუქავ თუ არა ავალს, ვიტყვი,—ახლა-კი მოვისვენე მეთქი, და შევბედო: გააქვს წისქვილს საცოდავად ხრილი: —ასეგონია—სიცხისაგან ხახა ამოუშრა და სულსა ჰლევსო. წამოვბტები, აუფლი რუს: აქ გადაჩხრიალებს ბოსტანისაკენ. იქ გადაჩხრიალებს ბოსტანისაკენ, რომელ ერთგან, სად გინდა არ მიჩხრიალებდეს! ღარში-კი იმდენი მოდის, რომ ხარი ენას ვერ გაისველებს. რტყვი რასმე და დაგედება მთელი სოფლის ბებრობა და პატარძლობა: მაშ რა ვქნათ—ერთი ღერო მწვანილი არ გავაჩინოთ ბოსტანშიო? ხათაბალაა, რა-ლა ხათაბალა. მე ერთი—ისინი ათი-ათასნი. შესძულდე—როგორ შესძულდე?—მეზობელია, ნათელ-შირონია. მერე სულ-



რისთვის? უოველ დღე ვანგარიშობ, და ზაფხულ-ზამთარში რაღაც მივიტანო, ერთმანეთზე, დღეში ორ შაურზე ძლივს გამოვდივარ. მაგრამ ცხვარი—ცხვარია, თუ ვაცხარდა—ცხარეაო; მე ვიცი თქვენნი, მოიცათ ერთი!

მოსთქვამდა ბერო თავის ჭირ-ვარამს, მუქარას, გააბამდა და აღარ გაათავებდა. მაგრამ ეს თავისი ლაპარაკი მხოლოდ თვით მასღა ესმოდა ხოლმე, რადგან—დაიწყებდა თუ არა ბერო ამისთანა ზღაპრებს, ცეცო ნელ-ნელა მოშორდებოდა წისქვილს, ბერო-კი ისევ ლაპარაკობდა, ისევ იმუქრებოდა მარტოდ-მარტო.

მართალი იყო ბერო, მაგრამ არც ცეცო სტყუოდა: საშინელი გოლგებები დაიჭირა და თუ ბოსტნებისთვის რუს წყალი არ მიეშველებინათ, მთლად ამოხმებოდა იქაურობა. გაიმართა საშინელი ბრძოლა, უფრო მეტად-კი ცეცოსა და ბეროს შორის, რადგან ცეცოს ბოსტანი ზედ ეკრა წისქვილს და წყალსაც ხშირად უფრო იქ ხედავდა ბერო გადაგდებულს.

—ნათლიდედ, დაუშაღეთ ე ბიქს, ნუ მიცდენს წისქვილს, თორე მე და ჩემმა ღმერთმა ნათელ-შირონობას იქით გადავდებ და ბატონთან დაგაბეზღებთ, მერე-კი თქვენ იცით და იმან!—დემუქრებოდა ხოლმე ბერო ცეცოს დედას.

—რა ვქნა, გენაცვალე, ნათლიავ, განა არ უშლი, როგორ არ უშლი, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ—რა თავნებაა. ნუ, გენაცვალე, ნათლია, ბატონის პირში ნუ ჩავვაგდებ!—შემემუდარებოდა ქვრივი—ცეცოს დედა ბეროს და, თუმცა ბეროს წყენა არ ესიამოვნებოდა, მაგრამ გულში-კი უხაროდა ცეცოს მუყაითობა და უნარიანობა.

რამდენიც სიკბე უჭერდა, იმდენი მწვავედებოდა ბრძოლა ბეროსა და ცეცოს შორის. დღისით თუ ველარ ახერხებდა ცეცო წყლის გადაგდებას—ღამე მიეპარებოდა ხოლმე. მაგრამ არც ბეროს ეძინა და ახლა ღამეც დაუწყო ყარაულობა. უჭვენებოდა ცეცოს ბოსტანი, უხმებოდა კიტრი, ყარფუზი, ნესვი. „არა, რამე ხერხი უნდა მოვიგონო,“ ფიქრობდა ცე-

ყო და მოაგონდა ბეროს მამის „უკულმართა,“ რომელმაც სწამდა და სჯეროდა ცრუ-მორწმუნე ბეროს, და რომლის მე სახეზეც შეთხზული ზღაპარი მართალი ეგონა. „ახლა მე ვიცი“, — ჩაილაპარაკა ცეცხლზე გუნებაში და შეუდგა კიდევ საქმეს.

* * *

გლეხის ვახშობა გადასული იყო, როდესაც ბერომ გაიღვა თოხი მხარზე და შეჰყვა რუს ზევით. წისქვილიდანვე დაწყებული რუ დაბურული იყო ორსავე მხრიდან მაღალი ბაღიანი და ზევიდან ერთმანეთში ტოტებ-გადახლართულ ხეებით. მაგრამ ბეროს თვალეშიც რომ დაეხუჭა, მაშინაც-კი არ აერგოდა გზა-კვალი. ეგ იყო ის ოხერი „უკულმართა“ მოაგონდებოდა ხოლმე მაშინვე, რა წამს შეუდგებოდა რუს პირპირ ბოსტნებ შუა დაბურულ ბილიცს. მაგრამ მაინც გულს იმაგრებდა და თან მარჯვენა ხელი მზად ეჭირა პირჯვრის გადასაწერად.

მიდის ჩვენი ბერო წყნარის ნაბიჯით, ფრთხილად იშორებს ხეხილის ტოტებს და ხან ერთ ბოსტანს გადაჰხედავს, ხან მეორეს. მაგრამ ბნელა დაბურულ შტოებში და მხოლოდ წყლის ჩხრიალზე თუ გაიგონებს სად არი გადაგდებული რუ. მიადწია იმ ადგილს, სადაც ჩვეულებრივ ბერო უგდებდა ხოლმე წყალს. დაუგდო ყური—წყალი გადაჩხრიალებს. „ჰოი, შე ონავარო, შე არ გასაშვებო, შენა!“ ბუტბუტებს ბერო, ემუქრება ცეცხლს და თან თოხით ეძებს ღამს, რომ დაუგუბოს გადაგდებული წყალი.

„ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ვერას მაცდენს მაცდური, მე ქრისტესი ვარ—ქრისტე ჩემია!“ მოაყოლა უცებ თვალე-გაეღვარებულმა და მუხლებ-აკანკალებულმა ბერომ პირჯვრის წერით. მაგრამ მარჯვენა ფეხი კიდევ ვიღამაც გასწია, თითქოს თოკით მიათრევენო. ბერო უფრო აკანკალდა, გამოჰკრა ფეხი, მაგრამ ფეხს ვიღაცის თოკი მოსდებოდა.



— მიშველეთ, სოფელოოო! — დაიღრიალა ბერომ და გამოქანდა ენა-ჩაყარდნილი წისქვილისაკენ.

ამ დროს ვილაკ ამოკოცდა ბალახებიდან რუს პირს და ისევ გადაუგდო წყალი თავის ბოსტნისაკენ. — ეს რასაკვირველია ცეცო იყო.

გათენდა დილა. ბერო ჯერ კარგად არ დამშვიდებულიყო და გადასძახა ნათლიდედას:

— ნათლი-დედა, — უამბობდა აკანკალებული ხმით ბერო ცეცოს დედას, — თუ შენი შვილისთვის კარგი გინდა, თუ არ გინდა, რომ ის წყვეული შემოეჭვიოს შენ კარ-ფუძეს, გასწიე ახლავე მკითხავთან და უშველე შენ თავს.

— რა ამბავია, გენაცვა, ნათლი-მამ, რა გაიგე ისეთი, მიაშბე, რომ ე ჩემი ერთად ერთი შვილი რამე საფრთხეს არ გადაეკიდოს? — შეეკითხა არა ნაკლებ აღელვებული ქვრივი და თან მოუთმენლად შესტკეროდა თვალებში ბეროს.

— რაღა მოხდა, ნათლი-დედ, მე ცეცოს ვაბრალებდი და თურმე ქაჯსკი უწვალებია წყალი! კიდევ არა ვსთქვი: აბა შუალამისას ცეცოს რა ამოიყვანს რუხე მეთქი. ჩემი თვალითა ენახე: გავყე გუშინ ღამ რუს პირს; მივდივარ არხინად, აბა ან კი რისა უნდა მშინებოდა; მივდივარ არხინად და, მიუახლოვდი თუ არა თქვენ ბოსტანს, უცებ ვილაშაკ გასწია ბალახებიდან რაღაცით ჩემი ფეტი. პირჯვარი რომ არ გადამეწერა, თან გადამითრევედა ის წყვეული. ჯერ იყო და ჩვენი ოჯახი დაანელა იმ შეჩვენებულმა, და ახლა მეც უნდა რომ მომიდნოს! ქაჯი იყო, ადამიანო, ქაჯი, — აი, თუ არა გჯერა: ბაწრის მახეცკი დამიგო იმ წყვეულმა, შავი ბაწრისა! — დაათავა როგორც იყო ბერომ და გაუწოდა შიშისაგან მუხლებში ჩაკეცილ ნათლი-დედას ბაწარი.

— უი, ქა, რას ბძანებ, ნათლიმამ? ეს ხომ ინდაურის ბაწარია, ვაბამ ხოლმე იმ შეჩვენებულს, რადგან ძრიელ შეეჭვია ბოსტანს, — მიუგო კოტა არ იყოს დაარხინებულმა ნათლი-დედამ.

— რას ამბობ, ადამიანო, ნახე—ქაჯმა შემაბა ზეზუ ქაჯმა!

— ნათლია არ მომიკვდეს და ჩემი ერთადერთი ცეცოს გაზდამ, რომ ეს ბაწარი ინდაურის დასაბმელი ბაწარია!

— ახა, ღმერთო ჩემო, განა ზედ არ ეცნევა, რო ბაწარი ადამიანის-კი არა, ქაჯის დაწნულია, აი იმნაირადაა გაკეთებული: ჩასდგამს თუ არა კაცი ფეხს, შიგ გაებმება!—ჯიუტობდა ბეროც თავის მხრივ.

— ქაჯისა-კი არა—ცეცოს დაგრეხილია, ცეცოს გაზდამ, თავისი დანარღვევი წინდიდან დაგრიბა!

— ცეცოსიიი?!—გააგრძელა ბერომ და რაღაც ექვის ფერმა გადაჰკრა სახეზე, როდესაც შეხედა ეშმაკურად მომღიმარ ცეცოს. ცეცომ ველარ შეიმაგრა სიცილი და გულიანად გადაიხარხარა. ახლა-კი აშკარად მიხედა ბერო ცეცოს ცულულტობას.

— მაშ შენი, ეს შენი საქჰვა შე, ქაჯო შენა?!—კინალამ ამ ხნის კაცი შემაშინე!—არა, არ-კი შემშინებია, მაგრამ მაინც გულში ვფიქრობდი: ვინ იცის იქნებ მართლა ქაჯის ბაწარია მეთქი!—ცოტა არ იყოს დარცხვენით იმეორებდა ბერო, რომ ნათლი-დედასთან მაინც თავისი გულადობა გამოეჩინა.

ცეცო და მისი დედა გულიანად ხარხარებდნენ ქაჯის ბაწარზე.

ი. ევდოშვილი.





გოლოს სინანული გვიანია.

(სცენები მოწაფეების ცხოვრებიდან 3 მოქმედებად).

(დასასრული).

მოქმედება მესამე.

(სტენა წარმოადგენს ისევე ბავშვებს სსსწავლა თათხს. შემოდან-
ნინო და თამრო).

გამოსვლა პირველი.

(ნინო და თამრო).

ნინო. (მხიარულად). მაღლობა ღმერთს, როგორც იყო მო-
ვრჩით ამ ეგზამენებს; ახლა შეგვიძლია რამდენიც
გვინდა ვიმზიარულოთ და ვიხტუნაოთ. აბა, თამრო,
მოდი აქეთ. (სიცილით) გილოცავ ხელმეორედ მეო-
რე კლასში გადასვლას.

თამრო. მეც გილოცავ.

ნინო. ჩვენ თავისუფალნი ვართ, მხოლოდ ზოგიერთები-
უბედური თინა როგორ ტიროდა!



თამრო. რატომ? მე არ მინახავს!

ნინო. ვანა არ იცი? მას ხელმეორე გამოცდა დაუბრუნეს, და თავს იკლავდა, არ მინდა, სულ დამარჩინეთო. უნდოდა საწყალს, რომ ეს ერთი ზაფხული მაინც თავისუფლად გაეტარებინა. სამი წელიწადია სწავლობს და ყოველთვის ხელმეორე გამოცდას უნიშნავენ. საწყალი, ჩვენ ასე ვმზიარულობთ, და ის კი...

თამრო. (აწვევტხებს) არაფერია, რატომ არ ისწავლა, აბა ახლა ჩვენ მზიარულად წავიდეთ ბაღში. (გარბის).

ნინო. (წ. მოჩვენება) ვაიმე, ნეტა გიორგი რას იზამს, მე ასე ვმზიარულობ და ეგებ ჩამაშხამოს ყველაფერი (მიდას. სცნა კარგა ხანს ცარიელა. გარედან ისმის ხანის და თამროს სიცილი, შემდეგ ცრემლიანი თვალებით, დადო-ჩებუდა შემოდის გიორგი).

გამოსვლა მეორე

(გიორგი).

გიორგი. ეს, (დაეჭვა სკამზე) რა უბედურება შემემთხვა, ვიცი რა დამემართებოდა; რისი ღირსი ვარ, ყველაფერი ვიცი. დედას და მამას როგორ ეწყინებათ, რომ გაიგებენ ჩემი ჩარჩენის ამბავს. (უცებ) ნინო მოვიდა ნეტა, თუ არა? რა უთხრა, რომ რამე მკითხოს? არა? რატომ არ დავუჯერე, რომ სულ მელაპარაკებოდა, ისწავლეო. ის იმზიარულებს, და მე რა ექნა. მშობლები რას მიზამენ, ცალი თვალითაც არ შემხედნენ. ჩემი მისვლა სულ არ გაეხარებოდათ. ყველა იმზიარულებს, და მე კი... (ფეხის ხმა ისმის. გიორგი ტახტის ქვეშ ძვრება). ვაიმე, თუ ნინოა! (შემოდის ვანა და ნიკო).



გამოსვლა მესამე.

(ვასო და ნიკო.)

- ნიკო.** გიორგი სად არის? უნდა ვანუგეშოთ, თორემ ცოდვაა საწყალი. (გიორგი ტახტის ქვეშადან გამოდის).
- ვასო.** აგერ არ ყოფილა დამალული! (გოტა ხანს შეჰმდებ) რას შერები, გიორგი?
- გიორგი.** რაღა უნდა ვქნა. თქვენ რა გიქირთ! ყველანი გადახვედით, და მე უნდა ჩამოგრჩეთ და კლასით თქვენი ამხანაგი არ ვიქნები .. უკაცრავად, მომილოცავს თქვენთვის.
- ვასო.** გმადლობთ... არა, მე ვიცოდი: ის მასწავლებელი ისე გადაგვიცა, რომ ჩაგარჩენდა უთუოდ...
- გიორგი.** არა, ვასო, მე მივხვდი, რომ მასწავლებელს ჩემთვის არა თუ ცუდის, პირიქით კარგის ქმნა უნდოდა. მაგრამ... მე არ დავუჯერე, არ მივაქციე ყურადღება და მიტომაყ...
- ნიკო.** არაფერია, გიორგი, არაფერია...
- გიორგი.** როგორ თუ არაფერია, ჩემო ძმაო! ახლა მე პირდაპირ მშურს თქვენი ბედნიერება. აბა, რა ვქნა; მშობლებს როგორ ეწყინებათ, რომ იცოდეთ. დღეს საცა მამა ჩამოვა ჩვენ წასაყვანად და შეიძლება აქ დამტოვოს. ახლა მეც მივხვდი, რომ ბოლოს სინანული გვიანია, მაგრამ რაღა უნდა ვქნა? (ტანის).
- ნიკო.** გიორგი, თქვენ ვგონებ დღეს მიდინხართ და ჩვენ გამოსამშვიდობებლად მოვედით.
- გიორგი.** რა ვიცი.
- ვასო და ნიკო.** აბა, მშვიდობით (უთხოვებთან). წერილს მოგწერთ



გაორგა. კარგი. ნახვამდის. მეც პასუხს გამოგიგზავნით. (შეშინებული ხანს შეშფეკ კადის. სცენა ტარაულა).

გამოსვლა მეოთხე.

(შეშინებულად და ხტუნვით ნინო და თამრო).

ნინო. მოგეცადა ცოტა ხანი; რა გაჩქარებს? შენი გაჩქარება არ შეიძლება.

თამრო. რა ვქნა, სხვა წამსვლელებსაც უნდა გამოვეთხოვო. აბა, მშვიდობით!

ნინო. ნახვამდის... (უთხოვების)... რა ეშმაკია ეს თამრო: რამდენი იმასხრა და იცეკვა. (უცებ) ნეტა გიორგი მოვიდა თუ არა? (ქუდს დაინახავს) აგერ იმისი ქუდიც, ალბად მოსული იქნება; ნეტა რას იტყვის? მგონია, აგერ მოდის კიდევ. - წავალ, მერე მაინც ენახავ! (შეაღის).

გამოსვლა მეხუთე.

გიორგი (შეშინებულად).

გაორგა. ნეტა სად არის ამდენ ხანს ნინო, რატომ ვერ ვნახე? როგორ უნდა გამოვეტყდე, რომ ჩავრჩი!.. (უფიქრობს) არ ვიცი, დამერთმანი, რა მოვახერხო, რომ ჩემი შეცდომა მაპატიონ... ააა, რა მოვიგონე, მოუდი წერილს დაეწერ... გავიქცევი სხვაგან, დამაბრუნებენ და შეიძლება მაპატიონ. (შოაქვს სკანონ ნივთები, სწერს წერილს, მერე გათხულობს).

ქვირფასნო დედა და მამა! ეროვნული
გეოლოგიური


მე ჩაერჩი და გთხოვთ მაპატიოთ. სიტყვას გაძღვეთ, რომ კარგად ვიმეცადინებ და ნახავთ, ჩემი სიტყვა როგორ შევასრულო. ნინოსაც პატივებს ვთხოვ, რადგანაც არ გაუგონე-კიდევ გთხოვთ მაპატიოთ. თქვენი გიორგი

ამას დაეგმვდავ კონვერტში და აქ შევინახავ (ბეჭდავს და წიგნების ინახავს) მე კი ვინმე ამხანაგთან ვითომ გამოსათხოვებლად წავალ. მგონია ცუდი გამოგონება არ უნდა იყოს. (უერს უგდებს) ვაიმე, მგონია ვილაც მოდის: ნინო უნდა იყოს; ახლა კი დროა თავს ვუშველო. (ანჭაროდ გარბის სხვა კარიდან).

ფ ა რ დ ა .

6. ღვებუაძე.





შემოდგომა.



ახე აიკრნენ ღრუბლები,
ქარმა დაიწყო ზეგვობა,
უცებ შესცვალა საამო,
ჩვეული სანახაობა.

ტყეს გაეძარცვა სამოსი,
დარჩა ტიტველი მკლავები;
ვარდ, ზამბახი და ენძელაც
სდგანან ვით მომაკვდავები.
ბუნებას დაეპატრონენ
ახლა მთლად ყორან—ყვავები!

შესწყდა ფრთოსანთა ჭიკჭიკი,
ხმა ბულბულისა ტკბილისა,
შაშვთ გამოხზობა და სხვათა
გალობა „ძილის-პირისა,“
გაჰქრა მთლად მიმზიდველობა
მდინარის მწვეანე პირისა!..

მზემ გაბურთულმა დაგეჩაგრა,
შორით გვიჩვენა პირია,
იძან არ იცის, უმისოდ
თუ ჩვენი ყოფნა ქირია,


მაცოცხლებელი შხის სხივი
 თუ ყოველ არსსა სჭირია!

ჭარი ჰჭრის, ქარი გრიალებს,
 თავზარს სცემს არე-მარესა
 მზეს ღრუბლებს აყრის ხან-და-ხან,
 გამოახედებს მთვარესა.
 და, ტკბილის ნაცვლად, ბუნებას
 აგემებს ახლა მწარესა!

გლოვის ფერი სძევს ქვეყანას,
 ხეთ დაუშვიათ თავები.
 უკადრისა და ენძელა
 დგანან ვით მომაკვდავები,
 საბრალოდ იყურებიან
 ხე-ტყეთ ტიტველი მკლავები.
 და მწარე ხმაზედ ჩხავიან
 ახლა ყვავ-ყორან-სვავები!

ხუციშვილი.





ახსოვს, მთელ ჩემ სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ერთ-ხელ ვილოცე წრფელი გულით.

იმ დროს ძრიელ პატარა, რვა წლისა ვიქნებოდი, სკოლაში ჯერ არ დავედიოდი და

მხოლოდ სახლში ვსწავლობდი მშობლებთან.

ანდრო ანდროს-ძე, პირველი კურსის სტუდენტი, რომელიც უსაღსრობის გამო იძულებული გამხდარიყო სწავლის გაგრძელებისთვის დროებით თავი გაენებებინა, მამზადებდა გიმნაზიაში შესასვლელად. ძრიელ მიყვარდა ის, რადგან ლმობიერად მეპყრობოდა; ვაკვეთილების აღსნის შემდეგ, შვიდი წლის ძმასთან ერთად, წამოვიდოდა ბაღში გასასეირნებლად და ჩვენთან ერთად პატარა ბავშვსავით თამაშობდა. მშვენიერად იცოდა ხელებით სიარული და კურვა; ისეთ განკვირებაში მოვყავდი, რომ იმ დროს ჩემი ერთად-ერთი სურვილი იყო გიმნაზიელი გავმხდარიყავ და ხელებით სიარული მესწავლა. ამ სურვილით გატაცებული ვსციდილობდი წამებაძა მისთვის: აველოცებოდი მაღალ ხეზე, სახლის სახურავზე და ძირს არასოდეს არ ჩამოვარდნილვარ, რაც ჩემ პატარა ძმას ძრიელ უყვირდა.



იქვე ბალის ახლოს მორბოდა პაპარა, მაგრამ სწრაფი მთის მდინარე, რომლის ტალღებში ზაფხულობით ბევრ სიამოვნებას ეპოულობდი. დამშლელი რომ არაეინ მყოლოდა, დილიდან დაწყებული საღამომდის განუწყვეტლივ ვიცურავებდი, წყალი თევზსავით მიყვარდა.

წყალს დაჰყურებდა მალაღ მთა, ხშირ დაბურულ ტყითა. როდესაც ამ ტყის შრიალს უსმენდი, ბავშურ ოცნების თვალთ უტკეროდი, საოცრად მეჩვენებოდა:—თითქოს გარკვევით მესმოდა ტირილი და სხვა-და-სხვა ხმები. ერთის სიტყვით—ტყე ჩემ თვალში საიდუმლოებით იყო მოცული.

მამას ხშირად დავყვანიდი ტყეში. გადმოგვეფარებოდა თუ არა ნაძვების ჩრდილი, შიში მეუფლებოდა და არაფრის გულისათვის არ დავთანხმდებოდი მამის კალთისთვის ხელი გამეშვა.

მიკვირდა, რომ ვერ ვხედავდი ქაჯებს, კუღანებს, რომლებისაც ძრიელ მეშინოდა. ირგვლივ მხოლოდ ნაძვები და ხის ფესვები მოსჩანდა. არსად იყო ზღაპრული დედოფალი, მწყემსი, არ იყო არაფერი, ოაც, ჩემის აზრით, აუცილებლად უნდა ყოფილიყო, და ამ გარემოებას იმ მოსაზრებით ვხსნიდი, რომ ქაჯები მამიჩემის ეშინოდათ და იმალებოდნენ.

როდესაც შინ დავბრუნდებოდი, გავიდოდი ბალში, იქიდან მივატკერდებოდი ტყეს და მეტად მიკვირდა: როგორ გავბედე ამ საიდუმლოებით მოცულ ტყეში შესვლა მეთქი. რალაც სიამაყით მიძგერდა გული, ვნაღვლობდი კიდევ, რატომ ვერ ვნახე ამ ტყეში საოცარი არსებანი. გავიზრდები და ვნახავ!—ვაიმედებდი ჩემ თავს.

აი, გავიზარდე: ბევრი ისეთი ტყე მაქვს დავლილი, რომელიც შორიდან ალ-ქაჯების ბუდედ გეჩვენებათ, მაგრამ დანამდვილებით ხეების, ხმელ ძირების ხავსით მოსილ დამპალ ტანისა, ღამით მნათობ დამპალ ჯირკვებისა, კლდეებისა და ქვების მეტი არაფერია შიგა...



არა ნაკლებ მიტაცებდა ძველი ხის წისქვილი ბზებისა და მღვინისაგან. რის, მდინარის პირას.

ყოველ ძველ წისქვილში, ჩემის აზრით, უნდა ყოფილიყო მოხუცებული კუდიანი მეწისქვილე, უნდა ჰყოლოდა სამი ქალიშვილი, ორი ბოროტი და ერთი — კეთილი; უკანასკნელი შეიძლება გერიც ყოფილიყო, მაგრამ ეს არც ისე აუცილებლად მიმაჩნდა, რადგან ყველა ზღაპრებში არ არის ნათქვამი. ჩვენი მეწისქვილე ქერივი და ცოტათი დაყრუებული იყო, მაგრამ ქალიშვილი არც ერთი არ ჰყავდა. მე ვფიქრობდი, იქნება ჰყავს, მხოლოდ რაღაც მიზეზებისა გამო მაღავეს მეთქი. რაღაც არა-ჩვეულებრივს ველოდი, ამ ფიქრებში გართული ერთობ ძალდატანებით ვსწავლობდი გაკვეთილებს, ხშირად ავდიოდი ხეებზე, სახურავებზე და ასე დროს ვატარებდი.

აღარ მახსოვს რომელი თვე იყო — ივნისი თუ ივლისი. ერთ დღეს რაღაც საქმისთვის ანდრო წავიდა წისქვილში მოხუც იაკობთან. მსურდა წავყოლოდი, მაგრამ ნება არ დამრთეს, — გაკვეთილები უნდა დამესწავლა. მტირალი მიუჯექი წიგნს, მაგრამ არც-კი ვკითხულობდი, ჩემი თავი მებრალგებოდა. რა დიდი უსამართლობაა ქვეყნად; ვის რა საქმე ჰქონდა, მე ანდროს წისქვილში წავყოლოდი? შესაძლოა დღეს დაძინება კიდევ მეწისქვილეს რომელიმე ქალიშვილი. — ვფიქრობდი და წაღვლიანად ვიცქირებოდი ფანჯრიდან.

ცახე იის ფერი ღრუბლის ნაკვეთები მოძრაობდა. ქექა-ქუბილი იყო მოსალოდნელი.

მე მიყვარდა ქექა-ქუბილი, რომელიც ჩემ ბავშურ ოცნებას აცნობევლებდა. როდესაც ქუბილი გაიზუზუნებდა მთებში, აღფრთოვანება მეუფლებოდა ხოლმე, მაკვირვებდა ელვა, რომელიც სწრაფლ ანათებდა ქვეყანას იღუმალი სხივით; მხოლოდ ამგვარ მოვლენის დროს თუ მარტო ვიყავი ოთახში, შიში მიპყრობდა.

ახლაც შიშმა შემიპყრო. მამა სახლში არ იყო, დედაც სადღაც წასულიყო. უმცროსი ძმა-კი რა საიმედო იყო, რო-



დესაც ჩემზე მეტად მას ეშინოდა? არა ერთხელ დამეჩინებოდა მისი ბავშური მკერმეტყველობით დამემტკიცებინა, რომ საშიში არ იყო ბაბუას სურათი, რომელიც კედლიდან შოგვჩერებოდა.

სიმართლე ესთქვა, მეც მეშინოდა ამ სურათის, მაგრამ ძმას არ უშხეღდი. არ ვიცი რა მიზეზით მოვიფიქრეთ—კედლის საათის ქვეშ რომ გავჩერდეთ, ვერას დაგვაკლებენ ბოროტი სულნი, კუდიანებიო; და როდესაც მარტონი ვრჩებოდით ოთახში, ბაბუას სურათი კედლიდან გვიკტერდა, იმ წამს საათის ქვეშ გავჩერდებოდით ხოლმე. ახლაც მიეწიე სკამი იმ კუთხისაკენ, სადაც საათი ეკიდა და დამშვიდებით ხმაურობდა—ტიკ-ტიკ, ტიკ-ტიკ...

ძმა მომეყრდნო გულზე და მითითოლვარე ხმით შემეკითხა:

— ქექა-ქუხილი იქნება?

— იქნება!—მიუგე მე. ამ დროს ოთახში ეღვამ შემოანათა და ჰაერში საშინელი გრგვინვა გაისმა. როცა ქუხილი მიწყნარდა, მომესმა ცხენის ჩქარი ფეხის ხმა და, თუმც აკრძალული მქონდა ოთახიდან გამოსვლა ვიდრე გაკვეთილებს დავიწვავლიდი, მაგრამ მაინც საჩქაროდ გამოველ აივანზე.

მამა მინდვრიდან დაბრუნებულ იყო და დედას ეკითხებოდა:

— ანდრო ანდროს-ძე დაბრუნდა წისქვილიდან?—

— ევონებ არა!

— მაშ ახლავ უნდა გავვზაუნო კაცი მასთან: დიდი წვიმა და ქექა-ქუხილია. მთიდგან უკვე მოსწყდა ნიაღვარი: საშიშარია, — შესაძლოა წისქვილი წყალმა წაიღოს.

კვლავ მოისმა ქუხილი და მსხვილი წვიმა წამოვიდა. მამა შეკრთა და ბალისკენ გაიქცა მდინარის დასანახავად; მეც უკან გავედევნე.

საშინელი სანახავი იყო მდინარე: ნაპირებს გადასცილდა, შორს მოსჩანდა წისქვილი, როგორც ზღვაში კუნძული.

იქ მისვლა შეუძლებელი იყო: ყოველ მხრივ წყალი ტყმოდა.

გინახავთ შთის ნაკადული, როდესაც აღელვებული ზღვის დაემზგავსება ხოლომე? გინახავთ, როგორ სთხრის ხეებს ძირიან-ფესვიანად, მოაქვს სახლ-კარი, უზარ-მაზარი ნაძვები, წითლის ხეები, კედლები, სახურავები? ასე აღქაფებული მირბოდა პატარა მდინარე; დრო გამოშვებით მოისმოდა საცოდავა ბლავილი და წყალში ცხვარი მოსჩანდა.

ქექა-ქუხილი მატულობდა; წვიმის ნაცვლად მსხვილი სეტყვა წამოვიდა. შიშმა შემიპყრო. შევამჩნიე რომ მამაც გაფითორდა. ანდრო და მოხუცი იაკობი წისქვილის სახურავზე ასულიყვნენ, რომელიც შესაძლო იყო ყოველ წუთს წაეღო წყალს.

— ტენები! შესაძლოა როგორმე მივალწიოთ წისქვილამდის და დავისნათ ისინი, — დაიძაბა მამამ. შეაბეს ოთხი ცხენი, და ერთი მარჯვე მუშა, მთიელი, რომელმაც არ იცის შიში რა, არის, შეაჯდა ცხენს, მაგრად უქერდა მუხლებს, სცემდა მათრახს და „აჰუ, აჰუ!“-ს უყვიროდა.

ცხენები წყალში არ ჩადიოდნენ, ფაფარ-აშლილი უკან იწევდნენ; მუშა კვლავ სცემდა მათრახს, მაგრამ ამაოდ. მამა ჩადგა წყალში, ცხენს აღვირში წააეღო ხელი, ცხენები ჩაცვიდნენ წყალში, მაგრამ როცა ყურებამდის მისწვდა, უკან გამობრუნდნენ.

.დასველებულმა მუშამ სასოწარკვეთილებით გააქნია თავი:

— ბატონო! ვერაფერს გაგზდებით, — ცხენებს ეშინიანთ, მაინც ვერ გაუძლებენ წყალს.

წყალი თან-და-თან მატულობდა.

ანდრო და მეწისქვილე გვიქნევდნენ ხელებს და შველას გვთხოვდნენ. ორჯერ-სამჯერ კიდევ შეეცადნენ ცხენების წყალში ჩაყენას, მაგრამ ამაოდ. სკადეს ტივით გასვლა, მაგრამ ესეც ამაოდ იყო. ადამიანის ძალა სუსტი იყო ამ აღელვებულ მდინარეს წინაშე.



მე სახლში გამოგზავნეს. დაებრუნდი სოველს, მზავდა გებული და შიშით აღშფოთებული. დედამ საჩქაროდ მიცვალა ტანთ-საცმელი, დამალევინა ცხელი ჩაი და შემდეგ სთქვა:

— მოდი, ბავშვებო, ვილოცოთ!—

— უფალო შეგვიწყალებს ჩვენ!

მახსოვს რაზედაც ვფიქრობდით, როდესაც დედასთან ერთად ლოცვებს ვიმეორებდით. წარმოდგენილი მქონდა, რომ ღმერთი ანგელოზს გამოუგზავნიდა წყლიდან გამოსაყვანად, ან შესაძლო იყო დიდ თევზებად გადაექცია და გამოეცურათ წყლიდან. ვფიქრობდი მეწისჭვილეს ქალიშვილებზედაც; აღარ შემძლო ლოცვა და დედას ათასგვარ კითხვებს ვაძლევდი.

საღამო ახლოვდებოდა. ქუხილი შეწყდა, წყალი-კი ისევ მატულობდა; ყოველ წუთს მოჰქონდათ ამბები:

— წისქვილზე ტივი გააკეთეს, მაგრამ, როგორც ჩაუშვეს წყალში, გადაბრუნდა; ღიდის გაჭირვებით შეასწორეს ისევ წისქვილის თავზე.

— ქალბატონო, იმ მხარეს გრეხოვის ქოხი წაიღო წყალმა!

— ბატონმა ბრძანა ბოსლიდან პირუტყვთა გამოდენა, რადგან წყალი წაიღებსო!

დედა იჯდა გაფითრებული და ლოცვებს ჩურჩულებდა.

მე მის მუხლებს ვებუტებოდი. წყალი ღრიალებდა. უკვე ბნელოდა და ჩემ გონებაში ათასგვარი ბავშვური ფიქრები ტრიალებდა. მთვარე მკრთალად ანათებდა; ვალებულ ფანჯარიდან წმინდა, სურნელოვანი ჰაერი შემოდისოდა. ვხედავდი მთვარის შუქზე გაბრწყინებულ მდინარეს და შიგ შავ პიტალო კლდის მზგავს წისქვილს, რომელიც მდინარეს უკვე შეერყია და ცალ გვერდზე გადაეხარა. მომაგონდა რობინზონი და მისი კუნძული; კუნძულს წისქვილი მივაშგავსე, ანდრო—რობინზონს, და შეაშურდა, რომ მხოლოდ მას ხედა უჩემოდ ეგეთი მარჯვე შემთხვევა. ვერ წარმომედგინა, თუ



შესაძლო იყო სუდი რამ შემთხვევოდა და გულში ვნებებისა და
 დი მდინარე მალე არ ჩამდგარიყო თავის კალაპოტში; ვფიქ-
 რობდი: ანდროს შეუძლია თევზები დაიჭიროს და ჰამოს,—
 შიშობილით არ მოკვდება; მე-კი ამ ამბების გამო რამდენსამე
 დღეს გაკვეთილების დასწავლა არ დამჭირდება მეთქი.

უეცრად ეზოდან ხმაურობა მოისმა. ცნობის მოყვარებით
 ვკჭიტიე ყურები: ოთახში შემოვარდა ახალგაზრდა მოსამსახ-
 ზურე, დაემხო დედის მუხლებთან და წამოიძახა:

— ქალბატონო, წისქვილი ინგრევა, წყალს მიაქვს! და-
 იღრჩობა ის! დაიღრჩობა! ოჰ, ღმერთო, დაიღრჩობა!

იმის ხმაში რაღაც საშინელება გამოიხატებოდა. ახლა,
 ამოდენი ხნის შემდეგ, ვიცი, რომ იმ მოსამსახურე ქალს
 ძრიელ უყვარდა ის, ვინც იქ იღრჩობოდა.

დედა საჩქაროდ წამოდგა ფეხზე, მეც ფანჯრიდან გადვი-
 ხედე იმ მხარეს, საითაც ერთი წამის წინ წისქვილი სჩანდა;
 ახლა მხოლოდ ნანგრევები იყო.

ჩემში საკვირველი ცვლილება მოხდა. ეგეთი რამ არც
 წინად, არც შემდეგ აღარ გამომიძღია. თავიდან ფეხებამ-
 დინ შიშის ერუანტელმა გამიბინა; მხოლოდ ამ წუთს მივ-
 ხედი, რა უბედურებაც იყო მოსალოდნელი; თვალ-წინ წარ-
 მომიდგა: უსიკოცლო, პირდაღებული, წყლით გაბერილი,
 ქვებზე დაგდებული უსიკოცლო გვამი.

არა! არ შეიძლება, არ დაიღრჩობიან, და თუ დაიღრჩე-
 ნენ, ისევ გაცოცხლდებიან.

ხმა მალლა ქვითინით დავემხვე მუხლ-მოდრეკით ჩემ სა-
 წოლთან ჩამოკიდებულ ხატის წინ, ცისაკენ ხელები აღვაპყარ
 და მათ გადარჩენას ვევედრებოდი ზენას.

იმათი დაღუბვა არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში,
 რადგან ეს მე არა მსურს!.. აღარ მახსოვს, რა სიტყვებით
 ვლოცულობდი; ვიცი მხოლოდ, რომ გულ-წრფელი იყო ჩე-
 მი ლოცვა, და ის ერთად-ერთი ლოცვა იყო მთელ ჩემ სი-
 ცოცხლეში.



რა მოხდა შემდეგ! მაგონდება: გვიან ღამით შევედგა წყალს ბინეს: წყალმა იკლო, წისქვილის ნანგრევები დარჩა; ანდროს და იაკობიც გადარჩნენო.

მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ, მაგრამ ახლაც ნაღვლიანად და თან სიამოვნებით მაგონდება ის გულ-წრფელი, რწმენით აღსავსე ლოცვა. მას შემდეგ სიკვდილი შორს იტაცებს ჩემს ირგვლივ ადამიანებს. ბევრჯერ ვიდექი გაფითრებული სიკვდილის პირად მიმდგარ მათზე უფრო საყვარელ ადამიანებთან, მაგრამ აღარ მილოცნია ისე, აღარ მილოცნია არასოდეს! არასოდეს! .

მიხ. ბოქორიშვილი.





იაკობ სვიობნის-კი გოგებაშვილი.

შირველი სახეგარი მასი ცხიერება-მოღვაწეობასა.

(დასასრული).

VI.

1871 წლამდე იაკობი მარტოდ-მარტო მოღვაწეობდა. მოხსენებულ წელს-კი მოსკოვის სასულ. აკადემიიდან სამშობლო ქვეყანაში დაბრუნდნენ ორი ახალგაზდა ქართველები, დიდად ნაკითხნი, განვითარებულნი, გულწრფელი მამულიშვილები, საქვეყნო მოღვაწეობის სურვილით აღფრთოვანებულნი, ჩინებული პედაგოგები, საუცხოვო ადამიანები... ესენი იყვნენ—განსვენებული ნიკო ცხედაძე და დიდად პატივცემული გიორგი იოსელიანი. ორივენი გამწესებულ იქმნენ სე-



მინარიის მასწავლებლებად. ამათზე ცოტა წინ იყავი მისწავლილი
 თომა ტურაშვილი, რომელიც ამ სამიოდ წლის წინად გამო-
 დაიკვალა და მთელი თავისი ქონება წერა-კითხვის საზოგა-
 დოებას უანდერძა. ესეც გულწრფელი მამულიშვილი იყო,
 მხოლოდ ცხვედაძისა და იოსელიანის იდეალისტობა არ მოს-
 წონდა. მთავრობასთან კარგი განწყობილება ჰქონდა, მეგობ-
 რულ ბაასის დროს თავის თავს დიპლომატს ეძახოდა. საზო-
 გადო მოქმედების პრინციპად აღიარებდა ქართულ ანდაზას:
 ნურც შამფურს დასწვამ, ნურც მწვადისაო... ამ ანდაზის მი-
 მდევარმა ბევრი დიპლომატიური ქაპან-წყვეტა გამოიარა და
 ბოლოს მაინც საწყალს შამფურიც დაეწვა და მწვადიცა.

მეორ-მესამე წელიწადს ამათ მოემატათ ორნი ძმანი ცვეტ-
 კოვები, პატიოსანი და მალალ-ნიჭიერი ადამიანები. ესენი იყ-
 ნენ მღვდლის შვილები, საქართველოში დაბადებულნი და აღ-
 ზდილნი. მოვიდნენ თუ არა, მაშინათვე ქართველ მასწავლე-
 ბელთ დაუახლოვდნენ. ამნაირად შესდგა პატარა ჯგუფი, რო-
 მელმაც თავის მოღვაწეობის ნიშნად სემინარიის მოსწავლეთა
 სწავლა-აღზდის და საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესობა დაი-
 სახა. ამ ჯგუფს პირველში საიდუმლოდ და ბოლოს განცხა-
 დებით მხარს უჭერდა სამოც-და ათი წლის მოხუცი იასე სულ-
 ხანიშვილი, ინსპექტორი სემინარიისა, ღვთისნიერი და კაცთ-
 მოყვარე ადამიანი, — ესენი ხშირად იკრიბებოდნენ ერთმანეთ-
 თან და უფრო-კი იაკობთან. ცხარედ, გატაცებით მსჯელობდ-
 ნენ, ბაასობდნენ დასახული მიზნის მისაღწევად. ეს ბაასი ხში-
 რად მოსწავლეებშიაც გადმოდიოდა. რალა თქმა უნდა, დიდი
 უმრავლესობა აღტაცებით ეგებებოდა. სამწუხაროდ მოსწავ-
 ლეთა შორის იყვნენ თითო-ოროლა სულმდაბალი ყმაწვილე-
 ბი, რომელნიც ენას ატანტალებდნენ უფროსებთან. ამათი
 წყალობით ყველაფერი, რაც კი ხდებოდა მოხსენებულ ჯგუ-
 ფის კრებებზე, თითქმის იმავე დღეს შიდიოდა უფროსების
 ყურებაშიდგ. უფროსად, ანუ რექტორად მაშინდელი სემინარი-
 ისა იყო არქიმანდრიტი ვალენტინი, „პოპ ვასკად“ წოდებული,



კაცი გაუნათლებელი, ბლუ, ლოთი, ზნეობა და ცემულ ველნაირად გაქნილი და გაიძვერა. ვეზარბოსთან დაშინაურებული ბძანდებოდა; თავის უფლებას მის გავლენასაც უერთებდა და ამ გაორკეცებულ ძალით დიდად აფერხებდა ჯგუფის პროგრესიულ მისწრაფებათა განხორციელებას. ცხადია, რომ უწინარეს ყოვლისა ჯგუფის ყურადღება ამ არა-კაცის თავიდან მოშორებაზე იქნებოდა მიქცეული. მის მაგივრად რექტორად სემინარიისა უნდოდათ მაგისტრი ღვთის-მეტყველებისა დიდად პატივცემული დეკანოზი მამა გიორგი ხელაძე, რედაქტორი მაშინდელი ქართული სასულ. ჟურნალის „საქართველოს მახარობლისა.“

VII

გარდა რექტორისა მოხსენებულ ჯგუფს უნდოდა ორი ყოვლად უვარგისი მასწავლებლის განდევნაც სემინარიიდან: ესენი იყვნენ—კავროვი და მ. პავლე კოროლევისკი. პირველი ასწავლიდა ფილოსოფიას, მეორე—ფიზიკა-მათემატიკას. კავროვი თავისი ზეტის-მეტად ჩქარი და დაუსრულებელი ლაპარაკით უფრო წააგავდა წისქვილის სარეკელას, ვიდრე მასწავლებელს. და როგორც სარეკელას კაკაუკიდან ადამიანი ვერავეითარ აზრს ვერ გამოიტანს, ისე ამ კაცის ვითომდა ლექციებიდან არაფერი არა გამოჰქონდათ-რა მოსწავლეებსა. შემოკუნცულდებოდა კლასში, სკუპდებოდა სკამზე, და იმავე წამს, კარგი იორლა ცხენივით გაჰკრავდა. ვერც წერტილს, ვერც მძიმეს და ვერც მკირეოდენ ხმის ცვლილებას კაცი ვერ შეამჩნევდა. სხაპა-სხუპით ისროდა უცხო სიტყვებს, ფილოსოფიურ ტერმინებს, ეშმაკურად გადაბმულ-გადახლართულ დაუსრულებელ წინადადებათ, მიჰქროდა, მიაქნებდა. დი ის, რაც ამ დროს კლასში ხდებოდა—იმას ყურადღებასაც არ აქცევდა. კლასში-კი ათასნაირი უწესოება იყო გამეფებული



ზოგი ყველსა და პურს გულიანად შეეჭკოდა, მხოლოდ უკანა
 ღალდსა თამაშობდნენ; ერთი რომ გძელ სკამზე გზნობილიყო
 და ხვრინავდა, მეორე პურის გულისაგან პიწია გორგოლეებს
 აკეთებდა. ამასთანავე მთელ კლასში იდგა დაუსრულებელი
 გუგუნე ორმოცი კაცის დაბალხშიანი ლაპარაკისა, ჩხუბისა,
 კითხვისა და ხშირად გალოპა-სიმღერისაცა. ცხადია, რომ
 ასეთ გარემოებაში არა თუ საბრალო კავროვი, არამედ თვით
 ციკერონ არისტოტელიც კი ვერაფერს გაარიგებდნენ მთელი
 თავიანთი სიბრძნე-მკვერ-მეტყველებითა!..

ასეთივე მავნებელი იყო მასწავლებლობა დეკანოზის კო-
 როლევესკისა, თუმცა-კი ის, როგორც ადამიანი, დაშორებით
 მალლა იდგა უკანასკნელზე. მისი მამაშვილური დამოკიდებუ-
 ლება მოსწავლეებთან, უსაზღვრო გულკეთილობა, თვით სა-
 ხე მოხუცებული მღვდლისა, სათნოებით სავსე ცის ფერი თვა-
 ლებით გაბწყინებული, სიყვარულსა და პატივისცემას უღვი-
 ძებდნენ გულში მოსწავლეთა. მაგრამ ეს ყოვლად ღირსეული
 მოძღვარი ვიღაც უღირსი უფროსის განკარგულებით ისეთ სა-
 ქმეს დასდგამოდა, რომლისაც თითქმის არა გაეგებოდა რა.
 რალა თქმა უნდა, რომ მოსწავლეები მამა პავლეს გაკვეთი-
 ლებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. დაიწყებოდა თუ
 არა გაკვეთილი, ნახევარ კლასამდე სულ ერთიან კარზე გაი-
 ხვეტებოდნენ: ფანჯრებიდან ქუჩაში გადადიოდნენ და აქედან
 იმავე წამს ტრაქტირებში ამოჰყოფდნენ თავს. კლასში დარჩე-
 ნილნიც მთელ საათს ათასგვარ-კულლუტობასა და ეშმაკობა-
 ში ატარებდნენ. საკლასო ეურნალი მასწავლებლის მაგიდაზე
 იდო ხოლმე გადაშლილი. მოსწავლეები ხშირად სარგებლობ-
 დნენ მარჯვე შემთხვევით: როცა მასწავლებელი დაფაზე სწერ-
 და, ან ხატავდა რასმე, ისანი მიიპარებოდნენ ეურნალთან და
 იწერდნენ აქ ისეთ ნიშნებს, როგორიც ნებაედა მათ გუნებას.
 ხანდისხან მოხდებოდა ისე, რომ უცებ მიბრუნებული მამა პა-
 ვლე თვალს შეასწრობდა მოსწავლის კულლუტობას, მწარედ
 დაიღრიჯებოდა და მალალის ხმით შესძახებდა: — ჰეი, ფრანკუ-



ზო, რას სჩადი მაგას?—მახეში გაბმული ცელქი მიუახლოვდებოდა ბოდა თავჩაქინდრული და, ვითომდა დიდად შეწუხებული მოკრძალებით ეტყოდა:—მამაო, ღირსო, მამაო! აპატიე შეცოდებანა მისნი, შენს უძღებ შვილსა!..

—აპატიეთ, მამაო, აპატიეთ!—გაისმოდა იმავე წამს ყოველის მხრიდან. ამ თხოვნა-მუდარის გავლენით მამა პაველს გული ყინვარე შაქარივით დნებოდა.

— მიპატიებია, ფრანკუზებო, მიპატიებია!—დაიძახებდა აღელვებული და თვალ-ცრემლიანი მოხუცი. ყოველ გაკვეთილზე უსათუოდ ხდებოდა ერთი, ან რამდენიმე ამგვარი სცენები. მათემათიკა და ფიზიკა-კი ღეთის ანაბარას იყო მიგდებული. გარდა ამ სამი კაცისა, ჯგუფს უნდოდა კიდევ განდევნა სემინარიიდან მაშინდელი ეკონომისა. იგი დიდად დაახლოვებული ბძანდებოდა „პოპ ვასკასთან:“ ენას უტანდა, სხვა-და-სხვა უკადრისს სამსახურს უწევდა და მისგანაც უზვი წყალობა სდიოდა თავზე. ენა-მოქნილი, ხუმარა, ფარისეველი, იგი მოსწავლეებთანაც დაახლოვებული იყო და მით არა ერთსა და ორს ბოროტებას სთესდა მათ ცხოვრებაში.

რექტორს მიემხრო ორიოდ სხვა მასწავლებელიც. და ამნაირად მთელი კრებული მასწავლებელთა გაიყო ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს უნდოდა ყოველმხრივი გაუმჯობესობა სემინარიისა, მეორე ჯგუფს—დაცვა ძველი წესწყობილებისა, რადგან მისი პირადი სარგებლობა მტკიცედ იყო დაკავშირებული ამ წესწყობილებასთან. ახალგაზდა მასწავლებელნი კარგადახედავდნენ თავიანთ სიმართლეს, კარგადა გრძნობდნენ თავის მისწრაფებათა საფუძვლიანობას და ამ მისწრაფებათა მიზნის სიწმინდეს. და გატაცებულნი ამ საერთო, საზოგადო მიზნით, წინდაწინვე დღესასწაულობდნენ მომავალ გამარჯვებასა. მაგრამ მალე საქმე სრულიად სხვანაირად დატრიალდა, და მით ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ჩვენ ბედნიერ დროში გამარჯვებული რჩება არა მართალი და პატიოსანი, არამედ ბოროტი და ნამუსზე ხელაღებული.



რექტორის პარტიამ მიმართა იმავე საშუალებებს, რასაც ჩვენ დროშიაც ხშირად წააველებენ ხოლმე ხელსა სინიდის-დაბშული ადამიანები. შეადგინეს ათასგვარი სიკრუით და ბოროტი ცილის-წამებით დაბეზლება ქართველ მასწავლებლებზე, შედეგად მოჰყვა სრული აკლება ახალგაზდა მასწავლებელთა ჯგუფისა. მართალია—ჯავროვი და კოროლევისკი დაითხოვეს, მაგრამ ამათ ზედ მიაყოლეს ყველა ქართველი მასწავლებელნიც. რუსების თქმისა არ იყვეს, დიდი დღესასწაული იყო ამჟამად რექტორ-ექსარხოსის ქუჩაზე. მხოლოდ ამ დღესასწაულს ხანდისხან რალაც შავი აჩრდილი გადაურბენდა ხოლმე თავზე. ის კაცი, რომელიც მათ ყველაზე მომეტებულად ეჯავრებოდათ, იმ ჟამად უვნებელად გადურჩა მათ კლანჭებს. გადურჩა, მაგრამ დიდხანს-კი ვერა!

შალე ამოიყარეს იაგობ გოგებაშვილის ჯავრიცა.

VIII

იმ წლის დამდეგს, როდესაც ეს საარაკო უსამართლოება დატრიალდა სემინარიაში, სასულ. სასწავლებელი მოაშორეს უკანასკნელს. ავლაბარში გადაიტანეს და იქ დაქირავებულ სახლში მოათავსეს. იმ დროს სამღვდელოებას უფლება ჰქონდა ამისთანა სასწავლებლის უფროსი თითონვე აერჩია. ასეთ უფროსად ერთხმად არჩეულ იქმნა იაკობი. იაკობმა სიამოვნებით მიიღო ეს დანაშნულება. იგი გახდა უფროსად და ხელმძღვანელად მთელი სასწავლებლისა, რომელშიაც სწავლა-განათლებას იღებდნენ ორასამდე ქართველი ყმაწვილები. პედაგოგიურ მოღვაწეობის მოტრფიალეს წინ გადაეშალა შრომისა და მოქმედების თავისუფალი ასპარეზი. მისმა ნიჭმა, დიდმა მომზადებამ და კოდნამ ფრთები გაშალეს. ჩვეულებრივი თვისი სიფრთხილე გვერდზე მიავდო. აღარაფერი აშინებდა: არც სიცივე, არც სიცხე და, ასე გასინჯეთ, შუაქარ-

საცკი ყურადღებას აღარ აქცევდა. დღე და ღამ განუწყვეტლად მუშაობდა. ხშირად დაიარებოდა იმეზიდ ახლად გახსნილ ნავთლულის საოსტატო სემინარიაში. ესწრობოდა იქ სამაგალითო გაკვეთილებს და შემდეგ თვით აძლევდა ამგვარ გაკვეთილებს თავის სასწავლებელში. მასწავლებელთ მუდამ თავს დასტრიალებდა. საუკეთესო სახელმძღვანელოების შემოღებით, პედაგოგიურ თხზულებათა კითხვით, პირადის რჩევით და დარიგებით ამზნევებდა, ამოქმედებდა მათ.

მოსწავლეთა ცხოვრებამაც სრულიად იცვალა ფერი. კაპკაქური ზეპირობა გაკვეთილებისა, ცემა-ტყევა, ლანძღვა-გინება მოსწავლეებისა სამუდამოდ განიდევნა სასწავლებლიდან. მათ ნაცვლად დამყარდა მამაშვილური, კაცთ-მოყვარული დამოკიდებულება უფროს-უმცროსებ შორის. აგრედვე დიდად გაუმჯობესდა სმა და ჭამა, ჩაცმა-დახურვა მოსწავლეებისა. სულგრძელი და მომთმენი იაკობი ცეცხლივით ენთებოდა, როცა ხელმძღვანელობას, ანუ საქმის ლალატსა ხედავდა. თვის კერძო ცხოვრებაშიც ანგარიშიანი კაცი, ყოველ საზოგადო გროშს ანგარიშის ქარ-ცეცხლში ატარებდა და ამის გამო არც ერთი კაპეიკი მოსწავლისა არსად არ იყარგებოდა.

უფროს კლასში გეოგრაფიასა და არითმეტიკას ასწავლიდა, მაგრამ, რომ ქართული ენა უფრო აქმალილებინა მოსწავლეთა თვალში, რამდენიმე გაკვეთილიც ამ საგნისა თვითონ აიღო და ასწავლიდა მას ისეთისავე მნიშვნელობით, როგორც ისწავლებოდა რუსული ენა, ხალეთო სჯული და სხვა სავალდებულო საგნები. დიდი ყურადღება იყო მიქცეული წიგნების კითხვაზედაც. სასწავლებლის წიგნთ-საცავი აივსო შესაფერ წიგნებითა. მოსწავლენი კვირაში ორჯელ იცვლიდნენ წიგნებსა. წაკითხული წიგნის შინაარსი მკითხველს ჯერ ქართულად უნდა ეთქვა, შერმე რუსულადა.

ამგვარად საქმის დაყენებას მალე მოჰყვა ბრწყინვალე შედეგთა. სემინარიაში მიღებულ მოსწავლეთა შორის პირველი ადგილები დაიჭირეს იაკობის მოწაფეებმა.



გავიდა სამი-ოთხი წელიწადი. სასწავლებლის მასწავლებლის ობა სულ წინდაწინ მიდიოდა, ხოლო იმისი ხელმძღვანელის მდგომარეობა-კი, საუბედუროდ, უკან-უკან იწევდა. ჯანმა ვერ გაუძლო გონების აღფრთოვანებას. გამუდმებულმა შრომამ და ფრთხილ ცხოვრებაზე ხელის აღება იაკობს ხელ-ახლა აუშალეს ძველი სნეულება. ამ სნეულების აშლაზე არა მკარგი ვაღიანა ჰქონდა სხვა გარემოებასაც. ზემოდ მოხსენებულ მტრებს არ ეძინათ. იაკობის ყოველ ნაბიჯს მათი ბოროტება უკან დასდევდა.

შიგ სასწავლებელში, იაკობის მასწავლებელთა შორის, გაიჩინეს ერთგული მომხრეები. ორმა სულმდაბალმა ქართველმა, მსგავსად თავიანთ წინაპარისა, გასცეს თავისი მეუფროსე. გადმოთარგმნეს „ბუნების კარში“ მოქცეული აღწერა მიმბუნების ცხოვრებისა და პრაქტიკული ზედნადებით წარუდგინეს ექსარხოსს. უკანასკნელმა მოითხოვა პასუხი... ჯეროვანი დასაბუთებული პასუხი მალე მიიღო, მაგრამ რას ნიშნავს თავის გამართლება უმცროსისა უსამართლო უფროსის წინაშე?.. ყოველ თავის გამართლებაზე მას ესმოდა ერთი და იგივე მრისხანე ბრალდება: „შენ დარეინის და კარლ ფოხტის მოწაფე ხარ! სამწერლო მაგიდაზე გიდევს „შთამომავლობა ადამიანისა“ და არა თუ შენ კითხულობ მას, არამედ მკირეწლოვან მოწაფეებსაც-კი აკათხებო.“

მოდო-და გაიმართლე თავი!

1873 წელს მაშინდელი ხელმწიფის მოადგილის დიდის მთავრის მიხედვით ნიკოლოზის-ძის განკარგულებით ექსარხოსი ვესევი და რექტორი სემინარიისა ვალენტინი განდევნილ იქმნენ საქართველოდან.

ათასწილი გაიძვერაობა ობობას ქსელივით შემოებნა იაკობს გარეშემო.

შინაურმა მტერმაც მრისხანებით წამოჰყო თავი: სიციხეა და ხველამ უმატა. ხშირად სისხლიც ამოჰქონდა ნახველში. იაკობს ახლა-კი მოაგონდა თავისი ძველებური ფრთხილი ცხო-



ვრება. შრომას უკლო, გაკვეთილებს აკლდებოდა, შინაგანსა და გარეგანსა კარზე ხშირად კვლარ გამოდიოდა. რაკი ცოცხალ საქმეს ეწეოდა, გული თვალ-ყურის ქერა მოაკლდა, შრუდე ხელმა იწყო ფარულად მოქმედება. კანცელარია სრულიად აურ-დაურჩეს, შესავალ-გასავლის წიგნები მოჰპარეს, სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდები მისჩქმალეს. ავადმყოფი ხედავდა ყველა ამას, მაგრამ რას იზამდა? ნერვები საშინლად აეშალა. იაკობის ოთახიდან ხშირად ისმოდა გაჭირვებული ძახილი, მუქარა, წყევლა-კრულვა.

მძლავრი გონება აფორიაქებულმა ნერვებმა დაიმორჩილეს. სემინარიელები ყოველ დღე დადიოდნენ სასწავლებელში და მუდამ ერთი მეორეზე შემწუხებელი ამბები გამოჰქონდათ. ერთ დღეს გაისმა—იაკობ გოგებაშვილი სადღაც დაკარგულაო. შიშის ზარივით მოედო ეს ხმა სემინარიელების სულსა და გულსა. წამს მთელი უზარ-მაზარი შენობა სემინარიისა დაკალიერდა. გუნდ-გუნდად მოედვნენ მოსწავლენი თბილისის გარშემო მდებარე მთა და ბარსა. ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი ეტლებით დარბოდნენ აქეთ-იქით. მტკვარში რამდენიმე მეთევზე ნავებით დაკურავდნენ და ეძებდნენ დაკარგულის გვამსა. ასე გაგძელდა საღამომდე.

მზის ჩასვლისას საიდგანლაც გაისმა სანუგეშო ხმა—იაკობი ცოცხალიაო. საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც სემინარიაში მოვიდა სანდრო ცხვედაძე, უმცროსი ძმა ნიკოსი, სახალხო სკოლის მასწავლებელი, მხნე და ერთგული მეგობარი გლეხ კაცისა, ყოველად პატიოსამი ადამიანი, და გვიამბო შემდეგი: შუა დღე იქნებოდა მოტანებული, როცა შე რაღაც საქმისთვის ვერის სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ჩავდიოდი ძირსაო. მარცხენა ნაპირიდან ვილაც მოადგა მტკვარსა და ისე, გაუხდელი, შევიდა წყალშიო. შუა ადგილს წყალმა წააქცია და რამდენსამე წამს სრულიად დაშალა, მერმე კვალად გამოჩნდა, იწყო ბრძოლა ტალღებთან და ნაპირს დაუ-

ახლოვდაო. მაშინათვე მივეშველე მეც და, როდესაც ზახვზე შევხედე, მეტის მწუხარებისა და გაოცებისაგან კონკლამსკისკო შემიწებდაო: სანდრო ცხვედაძეს მაშინათვე წამოეყვანა, სასაფლაოს ქუჩაზე ეტლში ჩაესვა და სასტუმროში წაეყვანა. აქედან ძმისათვის ბარათი მიეწერა, მაგრამ რაკი შინ არავინ იყო, ბარათი მხოლოდ სალამოს ეამზე წაეკითხა ნიკოს. იმავე წამს მიქრილიყო სასტუმროში. შემდეგ მკირეოდენი მოლაპარაკებისა, იაკობი მიხეილის საავადმყოფოში დაებინა-ვებინათ.

IX

ორიოდ კვირის შემდეგ ვნახე იაკობი სულით ავადმყოფთა განყოფილებაში. დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც მის ოთახში შევედი. გამზდარ-გაყვითლებულ სახეზე სვედიანად გამოიყურებოდნენ მისი დაღონებული თვალები. მაგიდაზე კარგა მოზდილი რვეული ედო. პირველ ფურცელზე დიდი ასოებით ეწერა „კონა.“

— წიგნს ვადგენო, — დაბალის ხმით წარმოსთქვა იაკობმა: — „დედა ენიდან“ „ბუნების-კარზე“ გადასვლა ძნელია მოსწავლისათვის. მინდა შევადგინო ისეთი წიგნი, რომელიც ხილად გაედება მოხსენებულ ორ სახელმძღვანელოს შუა.

ეს აზრი, როგორც ვიცი, ვერ გაუმართლდა იაკობს. „კონა“ დაიბეჭდა, მაგრამ სახელმძღვანელოს მნიშვრელობა ვერ მოიპოვა; დარჩა საკითხავ წიგნათა. ერთი თვის შემდეგ იაკობმა საავადმყოფოს თავი დაანება. იგი დაბინავდა თავის ერთგულ მეგობარ ნიკო ცხვედაძესთან, მთაწმინდაზე.

ხამთარი იყო იაკობის სანახავად მივედი ამ ბინაზე. გაჩაღებულ ბუხრის წინ იჯდა და რალაც ქალაღდებსა სინჯავდა. ფერი მოსვლოდა, სახე დამშვიდებოდა. მხიარულად მომეგება. რამდენსამე წამის შემდეგ სახლში მოვიდა ნიკოც და თან შემოიტანა თვისი ჩვეულებრივი მხიარულება და აღფრთოვანება.

— როგორა ხარ, იაკობ? — კარებიდანვე შემოსძახა მწვერულნი ბარს.

— აი ეს წყულები მაწუხებენ, — უპასუხა იაკობმა, — მინდა თავიდან მოვიშორო.

სთქვა თუ არა ეს, მაგიდიდან აკრიფა მთელი ბლუჯა და წერილი ქალაღდებისა და გაჯავრებით შეჰყარა გაძლიერებულ ბუხარში.

— რა იყო იაკობ? რა ქალაღდები უთავაზე ამ ჩვენ მხიარულ ბუხარსა? — ჰკითხა ღიმილით ნიკომ.

— დაეწვი ჩემი გემები, რომ უკან დაბრუნება აღარ შემიძლოს, — წარმოსთქვა იაკობმა. ატესტატი სემინარიისა, მოწმობა აკადემიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთის ქალაღდები ჯველანი ცეცხლს მივართვი ძღვნადა. ვაი თუ მგათის წყალობით შემდეგ როდისმე გამლვიძებოდა სურვილი სამსახურში შესვლისა. ამიერიდგან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემ ქვეყანას უნდა მოვახმარო.

— გაუმარჯოს იაკობს, გაუმარჯოს!.. — შესძახა ალტაცებით ნიკომ; მეგობრულად გადახვია მხარზე ხელი და წარმოსთქვა:

— ქვეყნის სამსახურს არც მე გავუქცევი, ჩემო იაკობ; ვფიცავ პატიოსნებას და იმ ქვეყნის მომავალს!..

ასეთი ფიცი წარმოსთქვეს ერთმანეთის წინაშე ამ ორმა ჩინებულმა ადამიანმა და როგორც პირნათლად შეასრულეს ეს ფიცი, ყველამ კარგად იცის ამ ეამად.

არბოელი.





იველი
კუპრაშვილი

იშვიათი ნიჭის გავშვი.

(ნუცა კუპრაშვილის ასული).

„ისა სჯობია მამულისათვის,
რომ შეიღია სჯობდეს მშობელსა“ ...



აამგდარ მშობლებისათვის ყველაზე დიდი ჯილდო ის არის, როცა იმათი შრომა-ტანჯვა უბრალოდ არ იკარგება და მიზანი მათი ოჯახური ცხოვრებისა— მათი შეიღები, თვისი ნიჭით და აზრიანი ყოფა-ქცევით, მშობლების მასიამოვნებელნი გამოდიან. მაშინ მშობლებს თითქოს ავიწყდებათ თვისი სიღარიბე-გაჭირვება, ათასგვარი, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაქსოვილი, უსიამოვნობაც და გამახალისებელი იმედით

შეჭხარიან მომავალს თავიანთ ნაშენისას. სწორედ ამგვარ მასიამოვნებელ შეიღთა რიცხვს ეკუთვნის პაწია გოგუცა—ნუცა კუპრაშვილის ასული (მეექვსე წელშია). იმის მშობლებს გოგუცას გარდა კიდევ შეიღი შეიღი ჰყავთ. რა თქმა უნდა—



შევიწროებულად ცხოვრობენ და მთელ იმათ ხელ-შეხვეწის ნიქის ცხოვრების გამახალისებელი საუნჯე—იმათი კეთილ-საიბედლო შვილებია, რომელთა შორისაც ნუცაა ყველაზე მეტად მასიამოვნებელი. გრძობიერი, დაფიქრებული, ნიქიერი, გამგონი, ის არა ბავშური გულის-სურით უსმენს ხოლმე მშობლებს, თავისზე უფროს მოსწავლე და-ძმათ და საოცარი ნიქით იმახსოვრებს, იმსჯელება ნასწავლით.

რა თქმა უნდა, ახლა მეტად ნაადრევია იმის თქმა, თუ რამდენად განუვითარდება მომავალში პაწია გოგონას მეხსიერება—გრძობიერება და უნარი ნასწავლის გადაცემისა—დეკლამაციისა, მაგრამ, დღეს-დღეობით-კი, ის თამამად, გაბედულად და საკმარისი თავდაქერილობით გამოდის ხოლმე საჯაროდ გამართულ დილა-სალამოებზე და მკაფიო გრძობიერი წანაკითხით და აგრეთვე მოხდენილი ცეკვა-თამაშით დიდ სიამოვნებასა ჰგვრის მაყურებელთ.

ნუცა პირველად გამოიყვანეს საჯაროდ — შარშან მაისში, როდესაც ქუთაისის თეატრში გაიმართა ბავშვების სადღესასწაულო დილა მწერალ ქილის ეკატ. გაბაშვილის ორმოცი წლის მოღვაწეობის პატავსაცემლად. როგორი იყო ან მაშინ, ან შემდეგშიაც გოგონას მიერ საზოგადოებაზე მოხდენილი შთაბეჭდილება, ეს ჩვენ შეგვიძლიან გავითვალისწინოთ ქვემოთ მოყვანილ, ჩვენებურ გაზეთებიდან ამოღებულ ცნობებიდან. მაგალითად გაზ. „კოლხიდა“ სწერდა: „ჩვენის ფიქრით, ვერც ერთი მქადაგებელის, ვერც ერთი ორატორის სიტყვა ისეთ ძლიერ გავლენას ვერ იქონიებდა მშობლებზედ, როგორც ესა ქნა პაწია, თითისტოლა კუპრაშვილის გოგონას-მიერ წაკითხულმა ლექსებმა“...

გაზ. „თემში“ ვკითხულობთ: „26-ს სექტემბერს ცაგერში (ქუთაისის მაზრა) სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა საღამო. ამ საღამოს საზოგადოება განაცვიფრა ნ. კუპრაშვილის „თითის ტოლა“ გოგონამ, რომელმაც მკაფიოდ, გარკვეულად, სრულიად თავისუფლად წარმოსთქვა სცენიდან:

„მოაწმინდა,“ „ქართლის დედა,“ „ვაჟკაცსა,“ „სამშობლო“ და სხვ. უსაზღვრო იყო საზოგადოებრივი სიამოვნება. ეს ის „თითის ტოლა გოგონაა, რომელმაც ეკ. გაბაშვილის საიუბილეო დღესასწაულზე ქუთაისის საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. სწორედ ღრმა პატივისცემის და მადლობის ღირსია ის დედა, რომელმაც ქუთუსთან ერთად ჩააწოვა თავის ასულს სამშობლოს სიყვარული და შეასწავლა ლექსები ჩვენთა სიამაყეთა-მიერ თქმული“...



აკაკის ხელში უკირავს პატარა ნუცა.

შარშანვე, 27 ოქტომბერს, ქუთაისში ილიას სალამოში-
აც მიუღია მონაწილეობა გოგუცას და ამის გამო „საბაღზო

გაზეთში“ (№ 442) ვკითხულობთ: „სალამოს მეორე ნაწილი დაიწყო ნინო კუპრაშვილის მიერ ილიას ლექსების წაკითხვით:

„მესმის, მესმის“ და „ქართლის დედას“... საზოგადოების გრძნობა-გონება ისე შებოკა და მოაჯადოვა ამ პატარა გოგონამ, რომ თქვენ წინ თითქოს იდგა არა ხუთი-ექვსი წლის ბავშვი, არამედ კკვა-დამჯდარი, ხანში შესული ადამიანი“...

ამ ზაფხულშიაც, ჩვენ დიდებულ ჯგოსნის აკაკის ისტორიულ მოგზაურობის დროს რაჭა-ლეჩხუმში ისევ თავი ისახელა ნუცამ, რომელმაც აკაკის მისივე ლექსები ისე ხელოვნურად წაუკითხა, რომ ნახულ-გაგონილით მოჯადოებულმა აკაკიმ გოგონა გადაჰკოცნა და მოისურვა იმასთან ერთად სურათის გადაღება. აქვე მოთავსებულ სურათში აკაკის ნუცა უკავია ხელში და იმის მარცხნივ სდგა დედა მისი ეკატერინე. ასეთია საერთო აზრი ამ ბავშვის შესახებ. ვუსურვოთ პაწია ნუცას უვნებელი ზრდა-განვითარება, რომ ცხოვრების სასტიკ ტალღებს ვერ დაეჯახნოს იგი და თან დაყოლილი ნიჭი ღირსეულად გაფურჩქნოდეს, გაცისკროვნებოდეს და მომავალში ერთი ნაყოფიერი და სასარგებლო ადამიანი შემატებოდეს ჩვენ დაჩაგრულ მხარეს.

გ. ა—ცახელი.





ელექტრონიანი თევზები.

(ძია ნიკოს ნაამბობი).



იპ ნიკო ჯერ კიდევ ახალგაზდა კაცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აგერ ხუთი ექვსი წელი იქნება, რაც მან ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება. წინად ძია ნიკო ვაჭების ერთ-ერთ გიმნაზიაში ბუნების მეცნიერებას ასწავლიდა. საკვირველი თავდადებით და მუყაითობით ეწეოდა ძია ნიკო მასწავლებლის მძიმე უღელს, მამაშვილურად უყვარდა თავისი შეგირდები, და, რასაკვირველია, შეგირდებსაც მოსწონდათ თავისი მასწავლებელი და დამრიგებელი. ყოველთვის დიდს პატივისცემით ეპყრობოდნენ. მაგრამ დიდხანს არ დასცალდა ბიძა-ჩემს სარბიელზე მოღვაწეობა, საყვარელი საქმის სამსახური...

ერთ საღამოს ძია ნიკო უეცრად მძიმე ავადმყოფად შეიქმნა, მარჯვენა ხელ-ფეხის მოძრაობა დაეკარგა და ლაპარაკსაც ძლივს ახერხებდა. ეჭიმმა, რომელიც ადრე მოვიწვიეთ, ამ ავადმყოფობას დამბლა დაარქვა. დიდხანს იყო ძია ნიკო ავად, ბევრი იეჭიმა და ცოტა არ იყოს მოიკეთა, თუმცა დაზიანებული ხელ-ფეხის ხმარება დღესაც უჭირს. ეჭიმი, რომ



მელიც ბიძიას სწამლობდა, ჯერ რალაც წამლებს აღევჩენდა და, მერე მოიტანა ერთი პატარა ყუთი; შიგ რალაც იყო მოთავსებული და აი ამ მანქანის საშეაღებით დაუწყო ჩემ სნეულ ბიძიას წამლობა. როცა ექიმი ააწყობდა ამ მანქანას, უკანასკნელი ერთნაირად ზიზინს დაიწყო. ამ სანახავმა საშინლად გამაოცა: მინდოდა გამეგო რა მანქანა იყო მოთავსებული ამ პატარა და ლამაზ ყუთში. მეცოდებოდა ავადმყოფი ძია ნიკო, მაგრამ წამძლია ცნობის მოყვარობამ, ველარ მოვითმინე და შევეხვეწე აეხსნა ჩემთვის ამ მოზიზინე მანქანის მოწყობილება.

— ამ მანქანას, ჩემო ბიძიკო, რთული წყობილება აქვს, — მითხრა აღერსით ბიძა-ჩემმა: ასე რომ მე ვერ შევძლებ მდებო ენით ვადმოგცე და მიგახედინო რამ ამ ნივთის წყობილების შესახებ; გეტყვი მხოლოდ, რამ ეს მანქანა აჩენს ერთნაირ ძალას, რომელსაც ელექტრონობის ანუ ელექტრონულ ძალას ეძახიან. ეს ძალა, როგორც ახლა გამოკვლეულია, აჩენს ცაში ელვას, ქუხილს და მებს. გადახედეთ ბრწყინვალედ განათებულ ქალაქებს, ქუჩებს, დარბაზებს; დააკვირდით თქვენ თვალწინ გაქანებულ ტრამეის ვაგონებს, მოიგონეთ ტელეგრაფი, ტელეფონი; ყველა ეს შედეგია ელექტრონული ძალის მოქმედებისა. ყველა ამას, ჩემო ცელქო ბიჭუნავ, როცა უშაღლეს კლასებში გადახვალ, მაშინ შეისწავლი. ახლა მინდა მხოლოდ აგიხსნა, რომ ამ ძალის გაჩენა ბევრ უბრალო საგანს ეხერხება, მაგალითად — ლაქა რომ რაიმე შალის ნივთიერებას ბეწვეულს ღონიერად წაუსვ-წამოუსვიათ, შევამჩნევთ, რომ ეს საგნები გაბურღება, თან კიდევაც ისეთ ძალას გამოიჩენს, რომ ქალაქის პატარა ნაპრებს თავისკენ მიიზიდავს, მიიკრავს. ასე იქცევა აღმასი, გიშერი, მინა და სხვა. ძალზე ნახები მინა რომ ბნელ ოთახში ერთ ხელში დაიჭიროთ და მეორე ხელის თითი მიუახლოვოთ, მინა ნაპერწყალს გამოისვრის და სუსტ ტაკანს გაიღებს.

ამნაირი ძალა პირველად ბერძნებმა ქარვაში აღმოაჩინეს



და რადგანაც ბერძნულად ქარვას ელექტრონი ჰქვია, ამიტომ ამ ძალას სახელად ელექტრონი ანუ ელექტრონული ძალა უწოდეს. ელექტრონული თვისებანი ცოცხალ არსებათა ზოგიერთ ნაწილებში მოიპოვება, მაგალითად—კუნთებში, ნერვებში, ჯირკვლებში და სხვაში.

ელექტრონის სამკურნალო თვისება ძველ, უხსოვარ დროშიაც იცოდნენ და სწამდათ კიდევ. ქრისტეს შობამდის, ორი ათასი წლის წინად, ერთი ვილაც ბერძენი ანტერონი თურმე სრულიად განიკურნა ნიკრისის ქარებისაგან ელექტრონით ექიმობის გავლენით, თუმცა იმ დროში კაცობრიობას არავეითარი წარმოდგენა არ ჰქონია ელექტრონულ მანქანის შესახებ. თურმე, ნუ იტყვიო, და ამ იარაღის მაგიერობას ანტერონის და აგრედვე ბევრ სხვათა ექიმობის დროს ეწეო-



ელექტრონული სკატი.


და ერთი საუცხოვეო თევზი, რომელსაც ელექტრონული სკატი, ანუ გნიუსი ჰქვია. ეს თევზი ცხოვრობს ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეში, ხან ხმელთა შუა ზღვაშიაც გამოისიერნებს ხოლმე. გარეგნობით გნიუსი ბრტყელია და ფართო, სიგრძით ორ არშინზე მეტია, ხოლო სიგანე მისი კი ერთ არშინს და ნახევარს აღემატება. ამ თევზს ტანში ლაყუჩების და მკერდის საცურავის მახლობლად მოთავსებულია ერთნაირი ორგანო (მოწყობილობა), რომელიც შესდგება ფაქასავით ჩამწყკრივებულ პაწია უჯრედებისაგან. სწორედ ამ უჯრედებს ებერება საკმაო ელექტრონული ძალის დამუშავება—წარმოშობა.

გნიუსის ამგვარ საელექტრონო აპარატში რომ რკინის მავთულის ერთი ბოლო შევიტანოთ, ხოლო მის მეორე ბოლოზე მოვათავსოთ ელექტრონული სანათური ათიოდე სან-



თელის ძალის მქონე, მაშინვე ეს სანათური ბრწყინვალედ მუშაობს ნათლით აიგზნება. თუ იმავე მავთულია ბოლო რომელიმე ასაფეთქებელ ნივთიერებას შეურთეთ, იგი იმ წამსვე აფეთქდება. ელექტრონიანი სკატი რომ ხელში აიყვანო, მთელ სხეულში ერთბაშად საშინელ ქრუანტელსა და ზოგჯერ ტკივილებსაც იგრძნობ. ეს საუცხოვო იარაღი გნიუსს მკერთან ბრძოლაში და მისგან თავის დახსნა-დაცვაში შევლის. ამავე იარაღს მიმართავს ის როცა თავის დაელას დაედევნება და დაეწევა კუდი. ერთი შემოკვრით გნიუსს შეუძლია იხვის ოდენა ცხოველი წუთი-სოფელს გამოასაღმოს; არც დიდრონი ცხოველები არიან მისგან მოსვენებულნი: მართალია დიდ ზიანს ვერ მიყენებს, მაგრამ ისე-კი დააფთხოვს, რომ მეორეჯერ საწყლები ვერც-კი გაბედავენ მის სიახლოვეს გაელას. უნდა შევნიშნათ, რომ გნიუსს განუწყვეტლად ელექტრონიანი ძალის დამუშავება არ შეუძლია. კუდის რამდენჯერმე ლაზათიანი გარტყმის შემდგომ მისი ელექტრონი კლებულობს, ნელდება და ბოლოს მთლად გამოეცლება, ხოლო დასვენების შემდგომ კიდევ უბრუნდება.

გნიუსის გარდა ელექტრონი აქვს ერთნაირ ღლავს, რომელსაც კიდევაც ელექტრონი ღლავს ეძახიან; იგი აფრიკის მდინარეებში ცხოვრობს. ამ ღლავის სიგრძე ერთ არშინს აღემატება, საელექტრონო ორგანო პირდაპირ კანის ქვეშ და კუნთებში აქვს მოთავსებული. ეს ორგანო წარმოადგენს მოთხო ცხიმის მაგვარ ქსოვილს, რომელიც შესდგება ექვსი



ელექტრონიანი ღლავი.

ერთი მეორეზე მდებარე თხელი ნაკეცებისაგან. არაბები ამ თევზს სახელად ეძახიან რააშს, რაც ნიშნავს ქუხილს. მართ-




ლაც და, ხელი რომ მოაველო, უძლიერესი ელექტრონული ძალის შემოკვრას იგრძნობ, ა ე რომ დიდხანს გრძნობ ტკივილს და რაღაც არა სასიამოვნოდ გრძნობ თავს, ელექტრონიანი ღლივი უფრო ფრთხილად ხარჯავს ხოლმე დამზადებულ ელექტრონის ძალას. ზოგჯერ შეგიძლიან ის ხელში დაიკავო და არც ერთი შემოკვრა არ იგრძნო. ელექტრონს ის განსაკუთრებულ შემთხვევაში ხმარობს; გნიუსი პირიქით ყოველ შემთხვევაში ლაზათიანი სილის შემოკვრით გაგიმასპინძლდება ხოლმე.

ელექტრონიან თევზებს შორის ყველაზეს უფრო შესანიშნავია გველ თევზაა, რომელიც სამხრეთ ამერიკის ბევრ მდინარეებში ცხოვრობს. სიგძით ეს თევზი ერთი საყენი იქნება; ზურგზე მუჭი მწვანე ფერი გადაჰკრავს, მუცელი-კი მოწითლო და ყვითელი აქვს. საცხოვრებლად ირჩევს ჩრდილიან წყაროებს და შლამიან ჭაობებს. საკმლის საშოვრად სალამოობით გამოდის, დღე-კი სძინავს, მოსვენებულია, ხოლო ყოველ ნახევარ წუთში წყლიდან თავი უნდა ამოჰყოს ჰაერის ჩასასუნთქავად, რადგანაც ლაყუჩებით წყალში მოთავსებულ ჰაერით სულაქმა ვერ აკმაყოფილებს. როცა შებინდდება, ელექტრონიანი გველ-თევზა გამოცოცხლდება, დაიწყებს ნადირობას თევზებზე კიბოებზე და სხვა პატარა წყლის ცხოველებზე, რომელთაც თავისი ელექტრონის შემოკვრით ხოცავს; დიდს ცხოველებს მართალია ვერ მოკლავს, მაგრამ საშინელ ტრუანტელსა და ტკივილებს აღუძრავს. ერთ ბუნებისმეტყველს თავის თვალით უნახავს, რომ ერთმა კატამ ცოცხალ-მკვდარ გველ-თევზას პირი წააელო, მაგრამ საშინელი ჩხაელით უკან გაიქცა, აგრე მოუვიდა ძაღლსაც. რომელმაც გველ-თევზას შეხება მოინდომა.

ამერიკის ადგილობრივ მკვიდრთ ძალიან ეშინიანთ ამ გველ-თევზასი და საშინლად სძულთ, რადგანაც ის ბევრ თევზს, კიბოს და კუს ხოცავს, ამიტომ უმეტესი წილი წყლის ცხო-

ველები აკრებიდა ამ საშიშარ მტერს და მის სიახლოვეს ცხოვრობს.



ერთ ბუნებისმეტყველს ზაკს უნახავს ისეთი ტბორე, რომელშიაც ელექტრონულ გველ-თევზას გარდა არც ერთი სხვა მობინადრე ცხოველი არ ყოფილა. უჩველია, ამბობს ზაკსი, შიგ მყოფნი არსებანი გველ-თევზას მსხვე-

რპლი გახდნენ და ან აღრევე უშველეს თავის თავსა.

ელექტრონიანი გველ-თევზებს სასროლი ბადით იჭერენ. ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, — ამბობს ზაკსი, — გვებერთელა გველ-თევზა დაიჭირა ბადით და რიყეზე ამოათრია, იმ წამსვე სამყეს ხელთათმანები ჩაეიცი და ხელში ავიყვანე. ორ არშინზე უგრძესი ცხოველი, რომელიც საშინლად იკლავებოდა და ჩემ ხელიდან გასხლტომას ლამობდა. როცა იქვე ახლოს მდგარ ქურქელში ჩაგდება დაუპირე, ხელიდან გამოსხლტა, ჩემ ფეხებთან დაეარდა და რამდენიმე მეტად ძლიერი ელექტრონული ძალა მითავიზა. შიშისაგან ადგილიდან დაძრევა ვეღარ მოვახერხე და ტკივილების გამო საშინელი ყვირილი მოვრთეო.

ისეთი საკვირველი რამ ცხოველია ელექტრონიანი გველ-თევზა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ ბევრი რამ არ ვიცით მისი ყოფა ცხოვრების შესახებ; მაგალითად — ჩვენ არა გვაქვს დაწვრილებითი ცნობები ამ თევზის გამრავლების შესახებ, თუმცა ეჭვს გარეშეა რომ იგიც სხვა თევზსავით ქვირითსა ჰყრის.

ამით დაასრულა ძია ნიკოჟ ჩემთან ბაასი.

ივ. თ—ძე.



ღღმსასწაულები სამაჴულიზვი- ლო ომის გამო რუსეთში.



1812 — 1912 წ.

არსულ აგვისტოს შესრულდა ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთმა იხილა უსაშინელესი ომი, ომი, რომელიც უქადდა მას განადგურებას, მიწასთან გაწორებას და რომელსაც ისტორიამ

უწოდა სახელად „სამაჴულიშვილო ომი“. ეს მოხდა 1812 წელს და ამიტომ ეწოდებოდა „მეთორშეტე წლის ომს“ ეძახიან.

რუსეთს ეომებოდა საფრანგეთი ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, საფრანგეთის გამოჩენილი იმპერატორი ნაპოლეონ I შეებრძოლა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს. ომი იმ ზომისა იყო, რომ ალექსანდრე I-ს დასჭირდა რუსეთის ხალხისათვის ბრძანება გაეცა, რათა მას გაწრთენილ ჯარისათვის დახმარება გაეწია და შეებრძოლებოდა მტერს. იმპერატორის მო-

წოდებამ, რასაკვირველია, გასკრა და დიდძალმა ხალხმა აქედან
ხელში იარაღი სამშობლო ქვეყნის დისაცველად, რის გამოც
ამ ომს ეწოდა სახელი „სამამულიშვილო“.

მთელი ხალხის თავის გამოდება, თავის გაწირვა მამუ-
ლის საშველად და მ•რის მოსაგერებლად, რასაკვირველია,
მეტად საგულისხმო და სამაგალითო საქმეა. ამიტომაც არის,
რომ წელს, ხსენებული ომის შემდეგ, ასის წლის შესრულების
დროს, მთელი რუსეთი და, განსაკუთრებით, ჯარები და სას-
წავლებლები დიდის ამბით ხდილობენ დღესასწაულს. კერძოდ,
ჩვენი დედა ქალაქი ტფილისი გავლილ აგვისტოს ბოლო რიც-
ხეებში აღარ იცნობოდა: რამდენიმე დღე ზედიზედ ქუჩები
ივსებოდა მორთულ-მოკაზმულ ჯარებით თავიანთ ურიცხ ბაი-
რადებით, ზარბაზნებით და მუზიკებით, აქაურ ყველა სასწავ-
ლებლებს დარაზმულ მოწაფეებით, და მაყურებელ ხალხით;
სალამოობის თეატრებში და დარბაზებში იმართებოდა შესაფე-
რი წარმოდგენები, კონცერტები, ლექციები და სხ.; განუ-
წყვეტლივ ისმოდა სიმღერა, დაკვრა და უნებლიედ იქცევდნენ
ყურადღებას გუნდ-გუნდად მოსიარულე შეგირდები ათას-ფე-
რად აქრელებულ ფარნებით ხელში.

ნაპოლეონი თავდაპირველად უბრალო გენერალი იყო,
მაგრამ თავის შესანიშნავ უნარის და ნიჭის წყალობით მალე
ჯერ მთავარ-სარდლობა მიიღო და შემდეგ საფრანგეთის მეფე
— იმპერატორად შეიქმნა. მან დაიპყრა ბევრი ქვეყანა, დაამ-
ხო და დააუძლურა ბევრი სამეფო, ათასგან იომა, იბრძოლა
და ყველგან და ყოველთვის გამარჯვებული, აღფრთოვებული
დი სახელ-განთქმული გამოდიოდა. მას მთელი დედამიწის ზუ-
რგზე აღარავისი ეშინოდა, არ ერიდებოდა; პირიქით, ყველა მის
წინაშე თრთოდა, კანკალებდა, მას ეფერებოდა, ემორჩილე-
ბოდა.

ნაპოლეონმა, სხვათა შორის, მოიწადინა რუსეთის დამ-
ხობაც და იმპერატორის ალექსანდრე I-ის დამორჩილება. იგი
1812 წლის ზაფხულს 600,000 ჯარით შიდადგა რუსეთის სა-



ზღვარს და იენისის 11-ს გადაიარა მდინარე ნეპსნი^{ნეპსნი} ლაქ-კოვნო და გროდნოს შუა. იმპერატორი^{ალექსანდრე} იმ დროს ქალაქ ვილნოში იმყოფებოდა. რა გაიგო მტრის შემოსვლა, ჯარს მიმართა ბრძანებით, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობდა: „მეომარო! თქვენ დაიცივით სარწმუნოება, მამული, თავისუფლება. მეც თქვენთანა ვარ. ღმერთია მოწყალე“, და ამასვე ზედ უმეტებდა: „იარაღს ხელიდან არ გაუშვებ, ვიდრე ჩემ სამეფოდან მთლად არ გავაძევებ მტერსაო“.

ფრანგების წინააღმდეგ რუსეთმა გამოიყვანა მხოლოდ 200,000 მეომარი, რომელნიც ორ ნაწილად გაყვეს. პირველის წინამძღოლობა მიანდევს გენერალს ბარკლაი-დე-ტოლლის, ხოლო მეორესი—თავად ბაგრატიონს, ტომით ქართველს. რუსეთის პირველი მკაცრი შეტაკება ფრანგებთან მოხდა აგვისტოს დასაწყისში ქალაქ სმოლენსკის ახლოს. დიდის თავგამოდებით იბრძოდნენ რუსები, მაგრამ ფრანგების ჯარმა სძლია. ქალაქი ზარბაზნებით ისე გაანადგურეს, რომ 2250 სახლიდან მთელი მხოლოდ 350 გადაარჩა. რუსის ჯარმა უკან დაიხია, ფრანგებმა-კი სმოლენსკი დაიჭირეს. პირველ დამარცხებას მოჰყვა მეორე; ჯარი შეკრთა და გამარჯვების იმედი დაჰკარგა; წინ წასვლის მაგივრად უკან წევა დაიწყო. ასეთი უნუგეშო მდგომარეობის მიზეზი რუსებმა ბარკლაი-დე-ტოლლის მიაწერეს და, ჯარისა და ხალხის სურვილის მიხედვით, ალექსანდრე I-მა მთელი მხედრობის მთავარ-სარდლად დანიშნა სამოც და შვიდი წლის მოხუცი გენერალი მიხეილ ილარიონისძე კუტუზოვი.

კუტუზოვი ცნობილი იყო დედოფალის ეკატერინეს დროსვე, დიდად მიღებული გამოჩენილ სუვოროვის მიერ; მან განსაკუთრებით თავი ისახელა ოსმალეთზე გამარჯვებით. ჯარს მეტად გაეხარდა მისი მთავარ-სარდლობა, გამხნედა, იმედი მიეცა. მაგრამ თვით კუტუზოვმაც პირველად განაგრძო უკან დახევა და შეჩერდა მოსკოვიდან 108 ვერსის მან-



ალექსანდრე შირველი

ძილზე მოჟაისკის მარხის სოფ. ბოროდინოსთან. 26-ს აგვისტოს, ვათენებისას დაიწყო საზარელი ომი. ორთავე მხარემ



ბრძოლის ველზე დასტოვა 100,000 მოკლული კაცი. ზოგს მეორე დღესაც ეწადა შებმა, მაგრამ როცა გაიგო და-
ხოცილთა რაოდენობა, ფიცხლავ მიატოვა თავისი განზრახვა
და მოსკოვისაკენ მიაშურა. ფრანგები მას კვალ-და-კვალ გამო-
ედევნენ. რა გაიგეს მოსკოველებმა მტრის მოახლოვება, გა-
დარჩენის ზრუნვას შეუდგნენ: აიკიდეს ბარგი-ბარხანა, გამოი-
ტანეს სახლებიდან განძეულობა, საქმელი, სასმელი, ავეჯი
და ზოგი ეტლით, ზოგი ფეხით გაუდგა იაროსლავის და ნიჟე-
გოროდის გზას მოსკოვი თითქმის დაკარიელდა. 1-ს სექტემ-
ბერს რუსის ჯარი დაბინავდა მოსკოვიდან ორი ვერსის მან-
ძილზედ, პოკლონის გორაზე. აქ სოფ. ფილიაში ღამით, გლე-
ხას ქობში, კუჭუხოვმა გამართა სამხედრო თათბირი, რომელ-
მაც არჩია მოსკოვის ქალაქი მტრისათვის უომრად დაეთმო,
რომ ამ გზით უიმისოდაც შემკირებული ჯარი მთლად არ
გაეღუტოდა. 2-ს სექტემბერს, რიჩიაზედ, რუსის ჯარებმა
იწყეს გადასვლა მოსკოვის მდინარეზე და მათ ნაცვლად აქ
ფიცხლავ გაჩნდნენ ფრანგები

ნაპოლეონი თავისუფლად და დაუბრკოლებლივ შევიდა
მოსკოვში 3-ს სექტემბერს დილით და დაბინავდა კრემლის
სასახლეში. მაგრამ მოსკოველებმა ხერხს მიჰპართეს და თეი-
თონვე წაუკიდეს ცეცხლი სახლებს, რომ ამ გზით ფრანგე-
ბისათვის ყოველი საშუალება მოესპოთ დიდი ხნით დაბინავე-
ბისა და ცხოვრების უზრუნველყოფისა: სახლებთან ერთად
იწვოდა პური, ფქვილი და სხვა ყოველი სურსათი. ცეცხლმა
შთანთქა ქალაქის სამი მეოთხედი. ცეცხლმა ნაპოლეონი იძუ-
ლებულყო ქალაქიდან გარედ გასულიყო და ახლა აქ, პეტ-
რეს სასახლეში, მოთავსებულიყო. უსურსათობის გამო ფრან-
გებში შიმშილი ჩამოყარდა. ამას ზედ დაერთო სიცივეების მოა-
ხლოვება. ნაპოლეონმა უხერხულობა იგრძნო. სექტემბრის დამ-
ლევსვე ფრანგებს საკმაო ჩოქოლი და შეწუხება დაეტყოთ.
შიმშილმა და სიცივემ თან-და-თან მატა. ღონე-მიხდილი ჯა-
რის კაცები კუჭის გასაძლობად არაფერს ერიდებოდნენ,
ოღონდ გასაღები ეპოვნათ რამე ცხენის ზორს ვილა ჩოდა,
ყვავ ყორნის ზოცვას და ქამასაც კი მიჰყვეს ხელი, თუკი სად
მე თვალს მოჰკრავდნენ. დამშეულნი და სიცივისაგან შეწუ-

ხებულნი მემომარნი მოედვნენ მახლობელ სოფლებს ჰურის სა-
შოვრად. მაგრამ გაფანტულს ფრანგებს რუსები ადვილად და-
ოდნენ და ელეტდნენ, საცა კი მოახელებდნენ.

ნოემბერში რუსეთის მკაცრი ყინვა უკვ 30 გრადუსამ-
დე ავიდა. ერთ ღამეში 300 ჯარის კაცი გაიყინა. აშკარა



ნ ა ზ ო დ ე ო ნ ი ა .

იყო, რომ ფრანგებს სამშობლოში დაბრუნებაზე უნდა ეფიქ-
რათ, რადგან მათი აუტანელი მდგომარეობა დღითიდღე
იზრდებოდა. ნაპოლეონი აიყარა, გაუდგა გზას, გაიარა მდი-
ნარე ბერეზინა და დაზიანებულის ჯარით მიაღწია პარიზს.

ალ. მ—შვილი.



ტროლის ომი.

ფეტიდა ქალ-ღმერთა აქილევსს ახალ სამხედრო იარაღს
ჰპირდება.



არ მიჰკარებია. ელინთა მხედრობის ძლევა-მოსილი გვირი
ზღვის ნაპირას შეშლილივით დარბოდა და მდღლარე ცრემ-
ლების ფრქვევით რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხმა-მალლად
შწუხარედ დასტიროდა თავის დაკარგულ გულითად მეგობ-
ბარს.

ფეტი და ქალ-ღმერთა ამ დროს ზღვის სიღრმეში წყნარად
განისვენებდა თავის ოქროს სასახლეში. ქალ-ღმერთამ მოჰკრა
ყური თავისი შვილის შწუხარე გოდებას და თვითონაც ხმა-მა-

რსავე მოწინააღმდეგე ბანაკში მთე-
ლი ღამის განმავლობაში მყუდ-
როება არ დარღვეულა. პატრო-
კლოსის სიკვილიმა ელინთა
მთელი მხედრობა დაიწუხრა. ყვე-
ლანი განუსაზღვრელ შწუხარებას
განიცდიდნენ. ძლევა-მოსილ აქი-
ლევსის თვალებს ოდნავაც ძილი



ლლა ქვითინი მორთო. ფეტადას ოქროს სასახლეში დასწრის ნებლივ შეიკრიბნენ ზღვის ქალ-ღმერთები და, როცა გმირმა გმირი აქილევსის ღვთაებრივი დედის უსაზღვრო მწუხარება დაინახეს, თვითონაც განუსაზღვრელ მწუხარებას მიეცნენ, ფეტადა ქალ-ღმერთასთან ერთად ისინიც მდუღარე კრემლებს აფრქვევდნენ და ნიშნად ღრმა მწუხარებისა ვულში მაგრად იცემდნენ.

— ვაგლახ მე, საცოდავსა და უბედურს, — მოსთქვამდა ფეტადა ქალ-ღმერთა: რომ ელლინთა მხედრობის საუკეთისო მამაცი გმირი ვშობე! ვაგლახ მე, რომ იგი დიდის მზრუნველობით აღვზარდე, დავავაჟაკე და ილიონის ბრძოლის ველზე წარვგზავნე ტროადელების საწინააღმდეგოდ! ჩემი მეუღლის პელეასის ბრწყინვალე სასახლეები ველარ იხილავენ ჩემ საყვარელ და ძვირფას შვილს აქილევსს! სანამ ჩემი პირმშო შვილი ცოცხალია, სანამ მის თვალთავან სინათლე არ დაჰკარგვია, საბრალო უნდა იტანჯებოდეს, უსაზღვრო მწუხარებას უნდა მიეცეს, და მე-კი დახმარება არ შემიძლია! წავალ ნე საბრალო ზღვის ნაპირას და გავიგებ მაინც, რა აწუხებს ჩემ პირმშო საყვარელ შვილს!

ფეტადა ქალ-ღმერთამ ამ სიტყვებით ერთად დასტოვა თავისი ოქროს სასახლეები და წყლის სიღრმიდან ელვის სისწრაფით იმ ადგილისაკენ გაეშურა, საცა ძღვევა-მოსილი გმირთა-გმირი აქილევსი ასე საბრალოდ და სამწუხაროდ ცასა და დედამიწას შესტიროდა.

ფეტადა ქალ-ღმერთა მიუახლოვდა აქილევსს, რომელიც ზღვის ნაპირას მწუხარედ იჯდა და ცხარედ ქვითინებდა, აღერსიანად ხელები მოხვია დახუკუკებულ თმაზე და კრემლების ფრქვევით ღმობიერად შეეკითხა: „რა გატირებს, ჩემო საყვარელო შვილო? რა არის ისეთი, რომ შენ გულს ასე უმოწყალოდ ღრღნის და აღონებს? ნურას დამიძლიავ, ყველაფერი გულახდილად მითხარი! ღმერთების მამათმთავარმა ზევსმა ყველაფერი ამისრულა, რასაც შენ მთხოვდი. ელლინთა მხე-



დრობა უკიდურეს გაკირვებას განიცდის, ელლინთა ნაშთები ბი ლამის ცეცხლის აღმა გადაბუგოს. უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი მხედრობა მზად არის მუხლ-მოდრეკით დახმარება ვთხოვოს!

მწუხარედ და მძიმედ ამოიოხრა ელლინთა გმი-თა გმირ-მა და ასე უპასუხა თავის ღვთაებრივ დედას: „მართალია ღმერთების მამათ-მთავარმა ზევსმა ამისრულა ჩემი გულის წადილი, მაგრამ ამ ეამად, როცა ჩემი გულითადი მეგობარი პატროკლოსი გულზე ხელებ-დაკრეფილი სამხედრო კარავში მისვენია, არაფერი არ მახარებს. ტროადელების მთავარ-სარდალ-მა ჰექტორმა სასიკვდილოდ დასჭრა ჩემი ძვიოფასი მეგობარი, უსირცხვილოდ შემოხსნა ცხედარს ის საუცხოვეო სამხედრო იარაღი, რომელიც ღმერთებმა აჩუქეს მამაჩემს პელეასს თვით თქვენი ქორწინების დღეს. ჩემო საყვარელო დედავ, რად მშობე ქვეყნად? ნუთუ მარტოდ-მარტო მწუხარებისათვის? არა, დედა ჩემო, მე სამარცხვინოდ მიმაჩნია ამ ქვეყნად სი-ცოცხლე, თუ ჩემი ბასრი ლახვარი სასიკვდილოდ არ განგმი-რავს ტროადელების მთავარ-სარდალს ჰექტორს და ამნაირად სამაგიეროს არ გადაუხდი ჩემი გულითადი მეგობრის პატრო-კლოსის სასიკვდილოდ დაჭრისათვის!“

კრემლების ფრქვევით ფეტადა ქალ-ღმერთამ მწუხირედ უპასუხა აქილევსს: „შვილო, ჰექტორის სიკვდილის შემდეგ შენი დღენიც დათვლილია! შეუბრალებელი სიკვდილი შენც მალე დაგიხუქავს თვალებს, შენი მოელვარე თვალები ვერ იხილავენ მზის მაცოცხლებელ სხივებს! დიად, ეს ასე მოხდებ-ბა ჩემდა სამწუხაროდ და სავალალოდ!“

—ჩემო საყვარელო დედავ! მწუხარედ უპასუხა აქილევს-მა: —ჩემი სიკოცხლე რა სიკოცხლეა, როცა ჩემი გულითადი მეგობარი პატროკლოსი გულზე ხელებ-დაკრებილი სარეცელ-ზე მისვენია! საბრალომ განუტევა თავის დიდებული სული ბრძოლის ველზე სამშობლოს მოშორებული! ვინ იცის—საბ-რალომ უთუოდ რამდენჯერმე მომიწოდა დასახმარებლად და



მე-კი ელლინთა მხედრობაზე გამარჯვებული ხელი ვერ გავსწორებ
 წოდებ ჩემ გულითად მეგობარს, დახმარება ვერ აღმოუჩინებ,
 მტერს ღმერთების რისხვა ვერ დავეცი თავზე! დაწყევლილ იქ-
 მნას ის დღე, როცა ჩემსა და აგამემნონის შორის უთანხმოე-
 ბა ჩამოვარდა! შულლი და რისხვა ზ. გჯერ გაბრძნობილი კა-
 ცის გონებასაც-კი დააბნელებს, დაუკარგავს სწორად მსჯელო-
 ბის უნარს! დიაღ, მეც ასე მომივიდა! შულლია და რისხვამ
 მთლად გონება დამიკარგა. სამუდამოდ დავკარგე გულითადი
 მეგობარი პატროკლოსი, ელლინთა მხედრობამ დაკარგა საუ-
 კეთესო მეომრები სწორედ იმ დროს, როცა მე ხომალდებთან
 ვიჯექი უსაქმურად. დროა გონს მოვიდე და დავივიწყო უაზ-
 რო შულლი და განხეთქილება! მე დაუყოვნებლივ ბრძოლის
 ველზე უნდა გავიდე და მოვძებნო ჰექტორი, რომელმაც ჩემ
 გულითად მეგობარს სიცოცხლე მოუსპო! ტროადელების მრავალ
 მეომარს გამოვასალმებ წუთი-სოფელს, მრავალ ტროადელ
 დედასა და ცოლს დაეაობლებ! ჩემო ძვირფასო დედავ, ეს არის
 ჩემი უკანასკნელი შეურყეველი გადაწყვეტილება და გთხოვ,
 გემუდარები—ხელს ნუ შემიშლი, ბრძოლის ველზე წასვლის
 ნუ აღმიკრძალავ!

ფეტადა ქალ-ღმერთამ აღერსიანად უბასუხა თავის თმა-
 ხუჭუჭა ვაფიშვილს: „შვილო! შენი გადაწყვეტილება ფრიად
 მოსაწონი და პატიოსანია! სამშობლოსათვის თავის დადება,
 შენი თანამომხმეებისა და მეგობრების დახმარება სასუქადულო
 საქციელია და აბა ამის, წინაღმდეგი როგორ უნდა გავხდე!
 მხოლოდ, ჩემო საყვარელო შვილო, ნუ დაგავიწყდება, რომ
 შენ ამ ყამად შესაფერი სამხედრო იარაღი არ მოგებოვება!
 შენი ბრწყინვალე იარაღით ბრძოლის ველზე მედიდურობს
 ტროადელების მთავარ-სარდალი ჰექტორი, რომელიც ერთ
 წამსაც არ დაგინდობს და სიცოცხლეს მოგისპობს, თუ შეუ-
 ფერებლად შეიარაღებულს სადმე მოგასწრობს! ამიტომ დრო-
 ებით მოერიდე ბრძოლის ველს! მე დაუყოვნებლივ ოლიმპოს-
 ზე წავალ და ცეცხლისა და მკვდლობის ღმერთს ესთხოვ შენ-



თვის სამხედრო იარაღის მოშადებას. განთიადისას სწავლებს
 თან გაეჩნდები, ხელოვნურად დამზადებულ სამხედრო იარაღს
 მოგიტან და შემდეგ-კი შეგიძლია ბრძოლის ველზე შენი მთე-
 ლი საწადელი აისრულო!“

ფეტადა ქალ-ღმერთა ამ სიტყვების შემდეგ დაუყოვნებ-
 ლივ უხილავად გაჰქრა. ძღვევა-მოსილი აქილევსი-კი ისევ
 ზღვის ნაპირას დაჯდა და მისი მწარე ქვითინი შორს ზღვის
 სივრცეში კიდითი კიდემდე გაისმოდა.

ა. მიქაბერიძე





— მკითხველის — — წერილები. —

ბ. რედაქტორო! *)

სიდი სიამოვნებით წაეკითხე ქ. თ. კარბელაშვილის ნათარგმნი მოთხრობა „როგორ სტიროდა ცხენი“, მოთავსებული „ნაკადულის“, მერვე ნომერში, მოზრიდლისათვის.

წაეკითხე და გავიგე ის, რაც აქამდის არ ვიცოდი: გავიგე, რომ ცხენს ამ უენო პირუტყვს, აქვს იმისთანავე გრძობა, როგორც ადამიანს, — რომ ცხენს შეუძლია ისევე იტანჯოს და იხაროს, როგორც ადამიანს, რომ ცხენს შეუძლია ტირილი ისეთივე ცრემლებით როგორც ადამიანს.

ამ მოთხრობას რომ ვკითხულობდი, მე და ჩემ პატარა დას ქეთოს ტირილი მოგვერია. ამ მოთხრობამ გააღვიძა ჩვენ გულში სიყვარული და სიბრაღული ცხენის მიმართ.

ძალიან მადლობელი ვართ თქვენი, ბატონო რედაქტორო, და ამ მოთხრობის მთარგმნელისა — ქ. კარბელაშვილისა.

თამარ წულუკიძე.

*) რედაქცია სიამოვნებით დასტაჰბავს მკითხველების წერილებს სხვა-და სხვა საკითხების შესახებ, და ადგილს დაუთმობს თვით მკითხველების ერთმანეთ შორის კითხვა-პასუხს, აგრეთვე ზოგიერთ საკითხებზე თვით რედაქციაც გასცემს პასუხს. რედაქციას იმედი აქვს რომ წერილებს თვითონ ბავშვები დასწერენ.

რედაქცია.

რეზუსი.

ვ,  , თ
 ჰ,  ,

 , მ  , რ  ,

 ,  , ნაცვალ  თმის ,
 სახელი  საღებავი

ე  "

მე-8 №-ში მოთავსებულ რეზუსის აღსნა:

გინდა მგელს შეუჭამივარ, გინდა მგლის ფერსა ძაღლსაო.
 აკროსტიხის აღსნა: ვაფა-ფშაველა.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საქმეწვილო ქურნალ

მარტოხუცი
გაბაშვილი

„ნაკადულ“-ზე

→ წელიწადი მერვე →

ქურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და სავანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ლეგულობენ ჩენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა:

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს

→ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური რვა-
არაკი ალ. მირიანაშვილისა. →

ფასი ქურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 5 მან. ნახევარ წლით — 3 მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ქურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის 1910 წ. ნუბა დართუდა კავკასიის ოლქის სამოსწავლო მწარუხველისგან ქართულ სკოლებში სახმარებლად:

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბადაშვილის ს., კოლოფ. მრ. № 8. Редакция „Накадули“ Головинский пр. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მდ. ზიაში, სასხლის ქუჩა. ქუთაისში — ისიდორე კვიციანიძისთან, თ. მთაწარიშვილთან, და მარიამ ვახუშაშვილთან. სამტრედიისში: ივანე გლადკოვთან, ფოთში — თეოფილე კანდელაკთან. ბათომში — ენ. სოფიას ნაკაშიძისთან და ტროფიმ ინასარიძისთან. დ. ხონში — კაკტურინე ვასილის ასულ ბახტაძისთან. ოზურგეთში — დეო იმნაძისთან. თელავში — ვახო შატაშვილთან. ახალციხეში — კონსტანტინე გვარამაძისთან. ბაქოში — ვასილ ახვლედიანთან და ივანე კლიაშვილთან. გორში — ნინო დომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. სოხუმში — ენ. მარიამ ანასაძისთან. კიათურაში — ივანე კომედაურთან, განჯაში — ბ. აშმაქაძისთან. ერევანში — კ. ოდიშარიანთან, სიღნაღში — ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის ძალაშიაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

- 1) ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა. — ფასი. 30 კ.
- 2) ტომის თავგადასავალი, — თხზულება მარკ ტვენისა, ფასი 50 კ.
- 3) რას გვიამბობს ოთახი, — თხზულება ავენარიუსისა, ფასი 20 კ.
- 4) დასურათებული ასაწყობი ანბანი, — ფასი. 1 მ. — „
- 5) სკრუჯი და მარლელი, — საშობაო მოთხრობა ჩარლზ დიკენსისა, ფასი. 25 კ.
- 6) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები — 3. კ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა: ფასი 30 კ.
- 7) ბავშვობა და სიურმე, — მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. 60 კ.
- 8) ორი მხატვარი, — თარგმანი დ. ავალიანისა ფასი . 15 კ.
- 9) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა ფასი. 30 კ.
- 10) ამხ. „ცისკრის“ გამოცემა: — ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი 5 კ.
- 11) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა ფასი, 5 კ.
- 12) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი — ეგოისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგ. ივ. მიკვარიანისა, ფასი 5 კ.